

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნინო კირვალიძე

კობნიტური ლინგვისტიკის ანბლო-ამერიკული  
სკოლა

(ლექციების კურსი ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრანტებისთვის)

2016

## ლექცია 1

### უილარდ ვენ ორმან ქუაინი, როგორც კოგნიტური ლინგვისტიკის ფუძემდებელი. ენობრივი ნიშნის ევოლუცია.

კოგნიტური ლინგვისტიკა წარმოადგენს ენათმეცნიერების ერთ-ერთ თანამედროვე განშტოებას, რომელიც შეისწავლის, თუ როგორ ხდება ადამიანის მიერ სამყაროს ენობრივი აღქმა-შემეცნება. კოგნიტური ლინგვისტიკა დამოუკიდებელ მიმართულებად ჩამოყალიბდა მე-20 საუკუნის 70-იან წლებში, თუმცა მას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ 50-იან წლებში, როდესაც შემუშავებულ იქნა ენობრივი ნიშნის სამკუთხედოვანი მოდელი, რის შედეგადაც მოხდა ლოგიკური სემანტიკის დიფერენცირება მნიშვნელობის თეორიად და რეფერენციის თეორიად. სიტყვის სემანტიკური ასპექტის დიქტომი-ზაციის ლოგიკურ-ფილოსოფიური და კოგნიტური ასპექტები ყველაზე თვალსაჩინოდ და სრულად არის მოცემული ამერიკელი მკვლევარის უილარდ ვენ ორმან ქუაინის შრომებში, რომელიც კოგნიტური ლინგვისტიკის ფუძემდებლად ითვლება.

**უილარდ ვენ ორმან ქუაინი (Willard Van Orman Quine)** დაიბადა ოჰაიოს შტატის ქალაქ აქრონში 1908 წელს და გარდაიცვალა 2000 წელს ბოსტონში, მასაჩუსეტის შტატში. იგი იყო მათემატიკოსი და ფილოსოფოსი. ქუაინის მთელი სასწავლო-სამეცნიერო მოღვაწეობა დაკავშირებული იყო ჰარვარდის უნივერსიტეტთან: აქ დაიცვა მან სადოქტორო დისერტაცია ფილოსოფიაში და აქვე კითხულობდა ლექციებს ჯერ ასისტენტის, შემდეგ ასოცირებული და ბოლოს სრული პროფესორის რანგში. სიცოცხლის ბოლო წლებში კი იგი იყო ამავე უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი. ჰარვარდში გაიცნო ქუაინმა ენის ფილოსოფოსები კარნაპი და რასელი. ეს ის მკვლევარები იყვნენ, რომლებმაც ქუაინთან ერთად საფუძველი ჩაუყარეს და განავითარეს ენობრივი ნიშნის სამკუთხედოვანი მოდელი. ენობრივი ნიშნის ქუაინისეული ლოგიკურ-ფილოსოფიური კონცეფცია ჩამოყალიბებულია მის გამოკვლევებში “From a Logical Point of View (1953)”, “Word and object (1960)”, რომლებიც

უდიდესი პოპულარობით სარგებლობს დღესაც ფილოსოფოსების და ლინგვისტების ფართო წრეებში.

იმისათვის, რომ ჩავწვდეთ ქუაინის ლინგვისტური კონცეფციის კოგნიტურ-ფილოსოფიურ არსს, საჭიროა განვიხილოთ ენობრივი ნიშნის ევოლუცია და წარმოვაჩინოთ ის ასპექტები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარა კოგნიტური ლინგვისტიკის განვითარებას.

თანამედროვე ენათმეცნიერების ძირითად პოსტულატს წარმოადგენს ენის როგორც ნიშანთა სისტემის სახით წარმოჩენა. თეზისი ენის ნიშნობრიობის შესახებ დასაბამს იღებს შვეიცარიელი მეცნიერის ფერდინანდ დე სოსიურის ლინგვისტურ კონცეფციაში და მასზეა აგებული მთელი XX საუკუნის და დღევანდელი ენათმეცნიერება. ამ კონცეფციის თანახმად, ენის უმთავრეს მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ იგი არის არბიტრალურ, ანუ შეთანხმების შედეგად მიღებულ, პირობით ნიშანთა სისტემა.

ენობრივ ერთეულებს ყოველთვის აქვს გარკვეული შინაარსი. ისინი ღირებულია იმდენად, რამდენადაც მიუთითებენ რაღაცაზე გარეენობრივ ანუ ექსტრალინგვისტურ სამყაროში: აღნიშნავენ საგნებს, მოვლენებს, თვისებებს. სიტყვის სწორედ ეს მიმართება გარეენობრივი სამყაროს საგნებთან და მოვლენებთან ქმნის მის მნიშვნელობას. მნიშვნელობა, ეს არის ის ცნება, კონცეპტი, რომელიც კონვენციონალურად არის დაფიქსირებული მოცემული ბგერითი კომპლექსის მიღმა ამ ენის მატარებელთა ცნობიერებაში. აქედან გამომდინარე, მნიშვნელობის მქონე ყველა ელემენტი ენობრივ სისტემაში არის ნიშანი, ხოლო მნიშვნელობას მოკლებული ელემენტი ნიშნად არ ჩაითვლება (მაგალითად, ბგერები).

ენობრივი ნიშნის არსებობისა და ფუნქციონირების ფიზიკურ, მატერიალურ საყრდენს წარმოადგენს არანიშნობრივ ელემენტთა – ბგერათა (ან გრაფემათა) – კომპლექსი, რომელიც ხაზობრივ ხასიათს ატარებს და მუდამ დროშია მოცემული. ენობრივი ნიშნის ეს მატერიალურ-ბგერითი ასპექტი უპირისპირდება მის სემანტიკურ ასპექტს როგორც გამოხატულების პლანი შინაარსის პლანს, რომელიც ხაზობრივი და ტემპორალური არ არის.

ენა არის არბიტრალურ ნიშანთა სისტემა, რაც იმას გულისხმობს, რომ კავშირი აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის პირობითია. ეს იმას ნიშნავს, რომ აღმნიშვნელის ბგერითი ფორმა არ განისაზღვრება იმ საგნისა თუ მოვლენის ბუნებით, რომელზედაც იგი მიუთითებს. ამით აიხსნება ის, რომ ერთი და იგივე საგნები თუ მოვლენები სხვადასხვა ენაში ერთმანეთისაგან განსხვავებული ბგერითი ფორმის მექონე სიტყვებით აღნიშნება. მაგალითად: ქართულში “გოგონა”, ინგლისურში “girl”, რუსულში «девочка» და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ენობრივი ნიშანი შეიძლება განისაზღვროს როგორც ბგერათა (გრაფემათა) თანმიმდევრობით შექმნილი ერთეული, რომელიც არბიტრალურად, ანუ შეთანხმების საფუძველზე მიათითებს (აღნიშნავს) ექსტრალინგვისტურ ობიექტზე, იქნება ეს საგანი, მისი თვისება, მოვლენა თუ სიტუაცია.

ლინგვისტიკის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ცნობილი იყო ენობრივი ნიშნის სამი ძირითადი ტიპი ანუ მისი სამი ძირითადი მოდელი:

1. ენობრივი ნიშნის ორპლანიანი, სოსიურისეული მოდელი;
2. ენობრივი ნიშნის სამკუთხედოვანი მოდელი;
3. ენობრივი ნიშნის სამგანზომილებიანი მოდელი.

1. ენის, როგორც არბიტრალურ ნიშანთა სისტემის, პირველი განსაზღვრება მოგვცა სოსიურმა. მან შემოიტანა არა მარტო ნიშნის ცნება, არამედ მისი პირველი მოდელიც. სოსიური ენობრივ ნიშანს განიხილავდა როგორც ორპლანიან ერთეულს, რომელსაც აქვს ორი მხარე: აღმნიშვნელი და აღსანიშნი. აღმნიშვნელი არის ენობრივი ნიშნის მატერიალური მხარე, ფორმა, რომელიც ბგერათა ან გრაფემათა კომპლექსით არის წარმოდგენილი. სოსიური მას “აკუსტიკურ ხატს” უწოდებს. ხოლო ის, რასაც იგი აღნიშნავს, არის აღსანიშნი, რომელიც სოსიურის ტერმინოლოგიით “ასოციაციური ხატის” სახელით არის ცნობილი. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ სოსიურთან ნიშანი აღნიშნავს არა საგანს, თვისებას ან მოვლენას, არამედ მათ ცნებას ანუ კონცეპტუალურ შინაარსს. ენობრივი ნიშნის ეს ორი მხარე ერთმანეთისგან განუყოფელია და ორივე ადამიანის ფსიქიკის სფეროს განეკუთვნება. ნიშნის სოსიურისეულ მოდელს თან

ახლდა კვლევის სპეციფიური მეთოდოლოგიაც, რომელიც ლინგვისტურ იმანენტის ეფუძნებოდა. იმანენტური მიდგომა – ეს არის ისეთი მიდგომა, როდესაც კვლევა არ სცილდება საგნის ფარგლებს. შესაბამისად, ლინგვისტური კვლევაც მხოლოდ ინტრალინგვისტურ ხასიათს ატარებდა.

ენობრივი ნიშნის სოსიურისეულ ორპლანიან მოდელს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, რადგან ყოველი შემდგომი მოდელი მას ეფუძნება და მისი სტრუქტურის გაშლასა და დახვეწას წარმოადგენს. ეს კი შესაბამის ასახვას ჰპოვებს კვლევის მეთოდოლოგიაში, რომელიც ორიენტირებულია ლინგვისტური იმანენტის გადალახვაზე, რაც ორი მიმართულებით ხდებოდა:


ა) ერთი მხრივ, ობიექტურად არსებული იმ სინამდვილის გათვალისწინებით, რომელსაც აღნიშნავს ენა, როგორც სემიოტიკური სისტემა, და რომელიც დაკავშირებულია ენის ნომინაციურ ფუნქციასთან; შედეგად, ნიშნის სტატუსი მიენიჭა უკვე წინადადებას და გაჩნდა სრული ნიშნის ცნება. დღესდღეობით უმაღლესი დონის ენობრივ ერთეულად უკვე ტექსტი განიხილება;

ბ) მეორე მხრივ, სინამდვილის იმ სპეციფიური მონაკვეთის გათვალისწინებით, რომელშიც რეალიზებას ჰპოვებს ენის კომუნიკაციური ფუნქცია, და რომელსაც სამეტყველო აქტი ეწოდება.

**2. ენობრივი ნიშნის მეორე მოდელი, რომელიც ცნობილია ენობრივი ნიშნის “სამკუთხედოვანი მოდელის” სახელით, სწორედ იმანენტის გადალახვის პირველმა ტენდენციამ წარმოშვა და იგი შემუშავებულ იქნა, ძირითადად, ქუაინისა და კარნაპის მიერ. ამ მოდელს თან ახლდა მეთოდოლოგიური ხასიათის ცვლილებაც, რაც მდგომარეობდა ნიშნის ცნების დეფსიქოლოგიზაციასა და მისთვის ლოგიკური ბუნების მინიჭებაში.**

ენობრივი ნიშნის მეორე მოდელის არსი მდგომარეობდა მისი შინაარსობრივი პლანის დიქოტომიზაციაში. შესაბამისად, სოსიურისეული აღსანიშნი შინაგანად გაიყო ორ ასპექტად, რის შედეგადაც ლინგვისტურ ლიტერატურაში შემოტანილ იქნა ორი ცნება – სიგნიფიკატი და დენოტატი:

1. სიგნიფიკატი \_ ეს არის კონცეპტი, ცნება იმ საგნის თუ მოვლენის, რომელსაც აღნიშნავს ბგერათა კომპლექსი (აღმნიშვნელი). მაგალითად სიტყვანიშნის “ბიჭი” სიგნიფიკატი ანუ ცნება არსებობს მხოლოდ ცნობიერებაში, ამდენად იგი თავისი ბუნებით აბსტრაქტულია და ფსიქიკის სფეროს განეკუთვნება. სიგნიფიკატი, თავის მხრივ, უპირისპირდება დენოტატს.
2. დენოტატი, ენის დონეზე, არის ვირტუალური ნიშნით აღნიშნული გარე-ენობრივი რეალობის, საგნის თუ მოვლენის ზოგადი ხატი, სტერეოტიპი, რომელიც მოცემული ენობრივი ერთეულის კონცეპტს შეესაბამება. მეტყველების დონეზე კი, დენოტატის ნაცვლად გამოიყენება ტერმინი “რეფერენტი”, რომელიც ენობრივი ნიშნით მითითებულ კონკრეტულ ექსტრალინგვისტურ საგანსა თუ მოვლენას წარმოადგენს.



ლინგვისტური იმანენტისმის გადალახვა მდგომარეობს იმაში, რომ აღსანიშნი დაუკავშირდა არა მარტო ფსიქიკას (სიგნიფიკატს, ცნებას), არამედ სინამდვილესაც (დენოტატს და რეფერენტს), რომელიც ამ ფსიქიკურ წარმოდგენას შეესაბამება. აღსანიშნის ორად გაყოფის შედეგად გაჩნდა ნიშნის სამკუთხედოვანი მოდელი, რომლის საშუალებითაც ნიშანი დაუკავშირდა სინამდვილეს მის მთლიანურ ანუ ჰოლისტურ განზომილებაში. შესაბამისად, მოხდა სიტყვის სემანტიკური ასპექტის დიქოტომიზაცია მნიშვნელობის თეორიად და რეფერენციის თეორიად, რამაც საფუძველი ჩაუყარა კოგნიტური ლინგვისტიკის განვითარებას. ასეთი გახლავთ ენობრივი ნიშნის ის კონცეფცია, რომელიც ყველაზე თანმიმდევრულად არის მოცემული ქუაინის ნაშრომში “From a Logical Point of View (1953)”.

**3. ნიშნის მესამე მოდელი, რომელიც საფუძვლად უდევს დღევანდელ კომუნიკაციურ ლინგვისტიკას, წარმოშობილია იმანენტისმის გადალახვის მეორე მიმართულებით, რომლისთვისაც მთავარი და გადამწყვეტი იყო ნიშნის დაკავშირება კომუნიკაციურ აქტთან. ეს მოდელი ფილოსოფიური, უფრო ზუსტად კი, პრაგმატიკული წარმოშობისაა და იგი შეიმუშავა ცნობილმა ამერიკელმა მკვლევარმა ჩარლზ პირსმა (Charles Sanders Peirce 1839 – 1914) XIX საუკუნის ბოლოს. პირსის სემიოტიკურ კონცეფციაში, ენა განიხილებოდა არა მარტო როგორც გარესამყაროს საგნების ან მოვლენების აღნიშვნის საშუალება, არამედ როგორც ადამიანური ქმედების სპეციფიური სამეტ-ყველო-კოგნიტური ტიპი, რომელიც საკუთარი შიდაენობრივი ნორმატიული კანონზომიერებით და ცოცხალი საკომუნიკაციო აქტის რეალური გამოცდილებით რეგულირდება.**

ჩარლზ პირსმა გამოყო ნიშანთა სამი ტიპი, რომლითაც დღესაც სარგებლობს თანამედროვე სემიოტიკური თეორია. ეს არის “ხატი” (“Icon”), “ინდექსი” (“Index”) და “სიმბოლო” (“Symbol”).

1. ხატი (“Icon”) არის ისეთი ნიშანი, რომლის აღმნიშვნელიც აღსანიშნის მსგავსია. მაგალითად, მოცემული კლასიფიკაციის მიხედვით, ბურთის ნახატი როგორც ნიშანი, როგორც სემიოტიკური ერთეული, წარმოადგენს ხატს. ყოველგვარი ჩანახატი თუ სახვითი ხელოვნების ნიმუშები, როგორც ნიშნები, სემიოტიკური თვალსაზრისით წარმოადგენს ხატს.

2. ინდექსი (“Index”) ისეთი ნიშანია, რომლის აღმნიშვნელიც აღსანიშნს უკავშირდება მიზეზ-შედეგობრივი კავშირით. მაგალითად, კვამლი წარმოადგენს ცეცხლის ინდექს-ნიშანს.

3. სიმბოლო (“Symbol”) კი ისეთი ნიშანია, რომლის აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის კავშირი პირობითია და არა მოტივირებული, რის გამოც იგი ხორციელდება გარკვეული კონვენციონალიზმით ანუ წესისა და ტრადიციის ძალით.

შესაბამისად, ბუნებრივ ენებში ბგერითი ნიშნებიც სიმბოლოებს წარმოადგენს იმ აზრით, რომ მათ ბგერით შედგენილობაში (გარდა მცირერიცხოვანი ხმა-ბაძვითი, ონომატოპოეტური სიტყვებისა) არ აისახება დენოტატი. მაგალითად, ინგლისური

სიტყვის *table* ბგერითი შედგენილობა აღსანიშნი ობიექტის ანუ დენოტატის ბუნებით კი არ განისაზღვება, არამედ არბიტრალურ (პირობით), კონვენციონალურ და ამდენად არამოტივირებულ კავშირს ეფუძნება. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ თითოეული აღსანიშნი შეიძლება გამოხატულ იქნეს ნებისმიერი ისეთი ბგერითი მიმდევრობით, რომელიც დასაშვებია მოცემულ ენაში.

ჩარლზ პირსი მის მიერ შექმნილ ნიშანთა თეორიას, რომელსაც იგი “*semeiotic*” (ბერძნ. “*seme*” მნიშვნელობის მქონე უმცირესი ელემენტი) უწოდებდა ნაცვლად თანამედროვე ტერმინისა “*semiotics*”, ზოგადლოგიკურ თეორიად მიიჩნევდა, ხოლო ენას კი მის შემადგენელ ნაწილად განიხილავდა.

პირსის თეორიაში ნიშანი სამგანზომილებაში განიხილებოდა და ამ განზომილებებს იგი რიგობითობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელებით მოიხსენიებდა: *Firstness*, *Secondness*, *Thirdness*. მე-20 საუკუნის დასაწყისში კი, პირსმა პირველად დაიწყო ამ განზომილებების ფორმულირება ნაცვალსახელების გამოყენებით:

1. **I (Firstness)** – მე (პირველობა), ანუ ის, ვინც რამეს აღნიშნავს;
2. **THOU (Secondness)** – შენ (მეორეობა), ანუ ის, ვისთვისაც ეს აღნიშვნა არის გამიზნული;
3. **IT (Thirdness)** – ის (მესამეობა), ანუ ის, რაც აღნიშნება.

მოგვიანებით, მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, პირსის მიმდევარმა, მეორე ამერიკელმა მკვლევარმა ჩარლზ მორისმა (1901 – 1979), მოახდინა პირსის მიერ შემუშავებული ენობრივი ნიშნის ფილოსოფიურ-პრაგმატიკული მოდელის ინკორპორირება ლინგვისტიკაში. 1938 წელს, მან თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში “*Foundations of the Theory of Signs*” შემოგვთავაზა ენობრივი ნიშნის სრულიად ახალი მოდელი, რომელსაც იგი განიხილავდა კომპლექსურად სამ განზომილებაში – სინტაქტიკა, სემანტიკასა და პრაგმატიკაში.

თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში ეს მოდელი ცნობილია **პირს-მორისისეული სამგანზომილებიანი მოდელის** სახელით და მას ეფუძნება დღევანდელი კომუნიკაციური ლინგვისტიკა. სამგანზომილებიანი სემიოტიკური



მოდელის მიხედვით, ყოველი ენობრივი ნიშანი ხასიათდება მიმართებათა სამი კოორდინატით ანუ განზომილებით:

1. პირველი კოორდინატი მოთავსებულია გარეენობრივ სინამდვილეში, რომლის ობიექტებსაც ენა, როგორც ნიშანთა სისტემა, აღნიშნავს. მიმართებას ნიშანსა და აღსანიშნს შორის სემიოტიკურ მოდელში ნიშნის სემანტიკა ანუ სემანტიკური განზომილება ეწოდება;
2. მეორე კოორდინატი მდებარეობს იმ სისტემაში, რომელშიც შედის ნიშანი. ნიშნის მიმართებას სისტემაში შემავალ სხვა ნიშნებთან სინტაქტიკა ანუ ნიშნის სინტაქტიკური განზომილება ეწოდება.
3. მესამე ის კოორდინატია, რომელმაც განაპირობა ნიშნის ამ მოდელის ის ფუნდამენტალური მნიშვნელობა ლინგვისტური აზროვნებისათვის, რომელიც მას დღეისათვის აქვს. იგი ლოკალიზებულია იმ სუბიექტში, რომელიც იყენებს ნიშანს. მიმართებას ენობრივ ნიშანსა და იმ სუბიექტს შორის, რომელიც მას გამოიყენებს, პრაგმატიკა ანუ პრაგმატიკული განზომილება ეწოდება.

პრაგმატიკის ჩართვამ ენობრივი ნიშნის მოდელში ამოავსო ის სიცარიელე, რომელიც ნიშნის სამკუთხედოვან მოდელს ახასიათებდა და რის გამოც ეს მოდელი გამორიცხავდა ნიშნის მნიშვნელობის კონოტაციურ კომპონენტს, რომელიც ასახავს მეტყველი სუბიექტის დამოკიდებულებას აღსანიშნი საგნის მიმართ. ეს არის მნიშვნელობის ისეთი კომპონენტები, როგორც არის: ემოციურობა, ექსპრესიულობა და შეფასება. მაგრამ პრაგმატიკა სრულიადაც არ გულისხმობს, რომ მისი როლი ენობრივი ნიშნის სტრუქტურირებაში მარტო ამ სამი სუბიექტური კომპონენტით უნდა განისაზღვრებოდეს. პირველ რიგში, პრაგმატიკა გულისხმობს ხაზგასმას ენის კომუნიკაციურ ფუნქციაზე ანუ იმაზე თუ სად, როდის, ვის მიერ, ვისთვის და რა მიზნით ხდება რაიმეს აღნიშვნა.

ამრიგად, ენობრივი ნიშნის სამგანზომილებიანი მოდელი უკავშირდება როგორც გარეენობრივ სინამდვილეს, რომლის ფაქტებსაც ის აღნიშნავს, ასევე საკომუნიკაციო აქტს, რომელშიც ენობრივი ნიშნები გამოიყენება სუბიექტის მიერ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოხდა, ერთი მხრივ, ენობრივი ნიშნის ნომინაციური და

კომუნიკაციური ფუნქციების გამიჯვნა, რომლებსაც ის ახორციელებს სხვა ნიშნებთან ურთიერთ-ქმედებაში ანუ სინტაქტიკაში; მეორე მხრივ კი, მოხდა ხსენებული ფუნქციების სინთეზირება, რაც განპირობებულია სამეტყველო-აზრობრივი პროცესის ორი მხარის – კოგნიტურისა და სოციალურის ურთიერთმიმართებით.

### სავალდებულო ლიტერატურა:

1. Peirce, Charles Sanders, <http://plato.stanford.edu/entries/peirce/>
2. Quine, W. O., From a logical point of view. Cambridge (mass.): Harvard University Press, 1953.
3. კირვალიძე, ნ., კოგნიტური ლინგვისტიკის ანგლო-ამერიკული სკოლა (ლექციების სკრიპტი მაგისტრანტებისათვის). 2012.

### საკონტროლო კითხვები:

1. განმარტეთ კოგნიტური ლინგვისტიკის საგანი.
2. განმარტეთ სიტყვის “მნიშვნელობის” ცნება.
3. განმარტეთ ენობრივი ნიშნის ცნება და დაასახელეთ მისი ძირითადი მოდელები.
4. რას ნიშნავს ენობრივი ნიშნის არბიტრალურობა?
5. დაახასიათეთ ენობრივი ნიშნის სოსიურისეული მოდელი.
6. რაში მდგომარეობს ლინგვისტური კვლევის იმანენტური მეთოდოლოგიის არსი?
7. ენობრივი ნიშნის რომელ მოდელთან არის დაკავშირებული კოგნიტური ლინგვისტიკის ჩამოყალიბება? განმარტეთ მისი არსი, სიგნიფიკატის, დენოტატის და რეფერენტის ცნებები.
8. განმარტეთ ენობრივი ნიშნის პირს-მორისისეული სამგანზომილებიანი მოდელის ძირითადი ცნებები (სემანტიკა, სინტაქტიკა, პრაგმატიკა).

## ლექცია 2

**რეფერენციის ცნება კოგნიტურ ლინგვისტიკაში. რეფერენციის სინტაქსური, ლოგიკურ-სემანტიკური და პრაგმატიკული კონცეფციები. ენობრივ ერთეულთა რეფერენტული მიმართების ძირითადი ტიპები.**

რეფერენცია კოგნიტური ლინგვისტიკის ცენტრალურ ცნებას წარმოადგენს. თავდაპირველად იგი შემოტანილ იქნა ლოგიკაში გერმანელი ფილოსოფოსების ვიტგენშტაინის და ფრეგეს მიერ, ხოლო შემდგომი განვითარება ჰპოვა ბრიტანელი მკვლევარების ბერტრან რასელის და პიტერ სტროსონის შრომებში. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან კი რეფერენციის პრობლემებით დაინტერესდა ენის ფილოსოფიურ ასპექტზე მომუშავე მრავალი მკვლევარი, მათ შორის ამერიკელი ფილოსოფოსები ქუაინი, კარნაპი, ლინსკი, სერლი, ვენდლერი, დონელანი, პატნემი, და სხვები. სწორედ მათ შექმნეს ფუნდამენტალური შრომები, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა რეფერენციის ლინგვისტური თეორია თავისი დღევანდელი სახით (იხ.: კრებული *Новое в зарубежной лингвистике, Вып. 13: Проблемы референции*, Москва 1982).

რეფერენციის ლინგვისტურ თეორიას საფუძველად დაედო დაკვირვებები ზოგადი სახე-ლის მნიშვნელობასა და გამოყენებაზე, რის საფუძველზეც მკვლევარები მივიდნენ დასკვნამდე, რომ კონკრეტულ ლექსიკას გააჩნია როგორც გარკვეული ცნებითი შინაარსი (სიგნიფიკატი), ასევე საგნების აღნიშვნის ანუ დენოტაციის უნარი. ენობრივი ნიშნის სამკუთხედოვანი მოდელის შემუშავებამ და სახელის სემანტიკური სტრუქტურის ორ ასპექტად გაყოფამ გამოიწვია ლოგიკური სემანტიკის დიფერენცირება მნიშვნელობის თეორიად და რეფერენციის თეორიად. მეორე მხრივ, რეფერენციის სხვადასხვა კონცეფციების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ენის კომუნიკაციური ასპექტის, შესაბამისად კი ტექსტის წინა პლანზე წამოწევამ და მკვლევართა ინტერესის გაზრდამ პრაგმატიკისადმი.

მე-20 საუკუნის 80-იანი წლებისთვის რეფერენციის ლინგვისტურმა თეორიამ მეტნაკ-ლებად დასრულებული სახე მიიღო. ზემოხსენებულ მკვლევართა ნაშრომების

ანალიზი შესაძლებელს ხდის ამ თეორიის არსი წარმოვადგინოთ შემდეგი განზოგადებული სახით. ყოველი ტექსტი ან გამონათქვამი, როგორც ადამიანთა შემეცნებითი მოღვაწეობის ნაყოფი, შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას რეალურად თუ ჰიპოთეტურად (წარმოსახვაში) არსებულ ობიექტთა თვისებებსა და მათი ურთიერთმიმართებების შესახებ. შესაბამისად, *სამეტყველო აქტი, როგორც წესი, შედგება რეფერენციის და პრედიკაციის ქვეაქტებისგან. რეფერენციის აქტი ითვალისწინებს ამა თუ იმ ობიექტის (საგნობრივის თუ არასაგნობრივის) დაფიქსირებას მსჯელობის საგნად, მაშინ როდესაც პრედიკაციის აქტის საშუალებით ხდება მისთვის გარკვეული თვისების (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) მიწერა.* აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ენობრივი ნიშნების გამოყენება რეფერენტულად და პრედიკატულად. მაგალითად, წინადადებაში – “პატარა ბიჭი თამაშობს ეზოში” – “ბიჭი” რეფერენტულად გამოიყენება, რადგან იმ კონკრეტულ პიროვნებაზე მიუთითებს, ვის შესახებაც ვლაპარაკობთ, ანუ ვინც ჩვენი მსჯელობის საგანს წარმოადგენს; ხოლო წინადადებაში – “ნიკი ჭკვიანი ბიჭია” – იგივე სიტყვა უკვე პრედიკატულად გამოიყენება, რადგან “ნიკს”, რომელიც მსჯელობის საგანს წარმოადგენს, გარკვეულ თვისებას მიაწერს.

ესა თუ ის ობიექტი (საგნობრივი თუ არასაგნობრივი) მეტყველი სუბიექტის კომუნი-კაციური ინტენციის შესაბამისად იქცევა მსჯელობის საგნად რეფერენციის აქტის საშუალებით, რა დროსაც იგი ამ ობიექტის აღსანიშნავად ირჩევს საჭირო გამოთქმას ენის ლექსიკური მარაგიდან ადრესატის ფონური ცოდნის და მისი პრაგმატიკული მიმართების გათვალისწინებით. ექსტრალინგვისტური ობიექტის აღმნიშვნელ ენობრივ საშუალებებს ლინგვისტურ ლიტერატურაში იდენტიფიკატორები ეწოდებათ, ხოლო თავად ობიექტი ამ სახელის რეფერენტად წარმოგვიდგება. იდენტიფიკატორთა როლში გვევლინებიან ძირითადად სახელები და სახელადი ფრაზები. საჭიროა გაივლოს ზღვარი სახელის დენოტატსა და რეფერენტს შორის. კერძოდ, დენოტატი არის ვირტუალური ენობრივი ნიშნით აღნიშნული საგანთა კლასის ტიპი-ზირებული, უაღრესად ზოგადი თვისებების მატარებელი სტერეოტიპური ხატი; რეფერენტი კი ის კონკრეტული

ექსტრალინგვისტური ობიექტია, რომლის იდენტიფიკაციაც ხდება მეტყველებაში აქტუალიზებულ ნიშანთა საშუალებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ რეფერენცია არის მეტყველებაში აქტუალიზებული ენობრივი ნიშნების შეპირისპირება რეალური თუ ჰიპოთეტური სამყაროს ობიექტებთან (საგნობრივთან თუ არასაგნობრივთან), რის შედეგადაც ისინი განხილვის ზონაში ექცევიან.

სპეციალური ლიტერატურის ანალიზი ცხადყოფს, რომ რეფერენცია განისაზღვრება სამი ძირითადი ფაქტორით: სინტაქსურით, ლოგიკურ-სემანტიკურით და პრაგმატიკულით, რომლებიც იზოლირებულად არის წარმოდგენილი შესაბამის ლინგვისტურ კონცეფციებში.

რეფერენციის სინტაქსური კონცეფცია. იმის მიხედვით, თუ რა სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს წინადადებაში სახელი ან სახელადი ფრაზა, შეიძლება განვასხვაოთ მათი რე-ფერენტული და არარეფერენტული, ე.ი. პრედიკატული გამოყენება. *რეფერენციის სინტაქსური კონცეფციის მიხედვით, ინგლისურ ენაში სახელი ან სახელადი ფრაზა იდენტიფიკატორად გვევლინება ანუ რეფერენციის აქტს ახორციელებს, თუ იგი წინადადებაში აქტანტის პოზიციაშია, რა დროსაც ის ასრულებს ქვემდებარის და დამატების სინტაქსურ ფუნქციას. "აქტანტის" ცნება ლინგვისტურ ლიტერატურაში ფრანგმა მეცნიერმა ტენიერმა შემოიტანა. ამ ცნების ქვეშ იგულისხმება წინადადების ნებისმიერი წევრი, რომელიც ზმნით გამოხატული მოქმედების, პროცესის თუ მდგომარეობის მონაწილე პირს ან საგანს აღნიშნავს.* სინტაქსურ სემანტიკაში განასხვავებენ სემანტიკურ ანუ რეალურ აქტანტებს, რომლებიც ექსტრალინგვისტური სიტუაციის ელემენტებს (სუბიექტს, ობიექტს, ადრესატს და ა.შ.) ასახავენ, და სინტაქსურ აქტანტებს, რომლებიც წინადადების სინტაქსური წევრებით – ქვემდებარით და დამატების სხვადასხვა სახეებით არის წარმოდგენილი. *წინადადების აქტანტური სტრუქტურა წარმოადგენს ზმნის სემანტიკით განპირობებულ აუცილებელ აქტანტთა რიცხვსა და ხასიათს, ანუ კონფიგურაციას.* ამ მხრივ იგი შესაბამისობაშია ვალენტობის თეორიასთან (Лингвистический Энциклопедический Словарь, М.: «Советская Энциклопедия», 1990,

c. 22). ამ თეორიის თანახმად, წინადადებაში – “Nick has bought a car.” (“ნიკმა იყიდა ავტომანქანა”) – ორივე სახელი “ნიკი” და “ავტომანქანა” რეფერენტულად გამოიყენება, რამდენადაც ისინი წინადადების აქტანტური წევრები არიან, რომლებიც ქვემდებარის და პირდაპირი დამატების ფუნქციას ასრულებენ; ხოლო წინადადებაში – “Nick is an engineer.” (“ნიკი ინჟინერია”) – მხოლოდ “ნიკი” ახორციელებს რეფერენციას, ანუ იდენტიფიკატორად გვევლინება; ხოლო სახელი “ინჟინერი” კი არარეფერენტულად, ანუ პრედიკატულად გამოიყენება, რა დროსაც იგი შემოიფარგლება შედგენილი სახელადი შემასმენლის პრედიკატივის ფუნქციით, ახდენს რა რეფერი-რებული საგნის კლასიფიცირებას მისთვის კონკრეტული თვისების მიწერის გზით.

რეფერენციის ლოგიკურ-სემანტიკური კონცეფცია ძირითადად კონცენტრირებულია სახელის ან სახელადი ფრაზის ტიპების დადგენაზე ექსტრალინგვისტურ ობიექტთან მიმართებაში. კერძოდ, ყურადღება მახვილდება იმაზე, რეფერენცია ხორციელდება საგანთა მთლიანი კლასის, მისი ამა თუ იმ ნიშნით დახასიათებული რომელიმე კონკრეტული წარმომადგენლის თუ პოტენციური წარმომადგენლის მიმართ. შესაბამისად, მეცნიერები გამოყოფენ გვარობრივი, კონკრეტული ანუ სინგულარული და კვანტიფიცირებული რეფერენციის ტიპებს, რომელთაც ინგლისურენოვან ლინგვისტურ ლიტერატურაში ტერმინით “Modes of Reference” მოიხსენიებენ (Geach 1962, Ayer 1976, და სხვა).

რეფერენციის პრაგმატიკულ კონცეფციებში კი მკვლევართა ყურადღება ძირითადად გამახვილებულია მეტყველი სუბიექტის კომუნიკაციურ ინტენციასა და ადრესატის ფაქტორის განმსაზღვრელ როლზე. რეფერენციის თეორიის პრაგმატიზაციის პირველი მცდელობა ამ მიმართებით შეიმჩნევა ლინსკის ნაშრომებში, სადაც იგი ხაზს უსვამს რეფერენციის აქტის სუბიექტურ ხასიათს (Линский 1982). ამ იდეამ შემდგომი განვითარება ჰპოვა სერლის ლინგვისტურ კონცეფციაში. რეფერენციის პრაგმატიკული კონცეფციის თანახმად, რეფერენციის აქტი გაიგივებულია მეტყველი სუბიექტის კომუნიკაციური ინტენციის (ჩანაფიქრის) რეალიზებასთან და ადრესატის მიერ ამ ჩანაფიქრის დეკოდირებასთან. სერლისათვის დამახასიათებელია რეფერენციის მექანიზმში კონტექსტური ინფორმაციის და

კომუნიკანტთა ფონური ცოდნის ჩართვაც, რაც უზრუნველყოფს მსჯელობის საგნის სწორ იდენტიფიკაციას (Серль 1982).

ზემოგანხილული კონცეფციებიდან გამომდინარე, თანამედროვე კოგნიტური ლინგვისტიკის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს რეფერენციის მოვლენის განხილვა ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ ჭრილში ინტერსუბიექტურობის ფონზე სამგანზომილებიანი სემიოტიკური მოდელით, რაც გულისხმობს რეფერენციის ინტეგრალური პრინციპით კვლევას მისი სემანტიკური, სინტაქტიკური და პრაგმატიკული ასპექტების სინთეზირების გზით. ასეთი მეთოდოლოგიური მიდგომა შესაძლებლობას იძლევა, არა მარტო დადგინდეს და სისტემაში იქნეს მოყვანილი რეფერენციის ენობრივი საშუალებები, არამედ გამოვლენილ იქნეს მათი ფუნქციონირების და არანჭირების თავისებურებანი მეტყველებაში, შესაბამისად კი ტექსტში.

## **ენობრივ ერთეულთა რეფერენტული მიმართების**

### **ძირითადი ტიპები**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეფერენცია არის მეტყველებაში აქტუალიზებული ენობრივი ერთეულების შეპირისპირება რეალური თუ ჰიპოთეტური სამყაროს საგნობრივ/არასაგნობრივ ობიექტებთან, რის შედეგადაც ისინი განხილვის ზონაში ექცევიან. ლიტერატურის კრიტიკული განზოგადება (Серль 1982, Стросон 1982, Арутюнова 1982, Вендлер 1982, Доннелан 1982, Рассел 1982) საშუალებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ რეფერენცია ზოგადად ემყარება ენობრივ ერთეულსა და რეალურ სინამდვილეს შორის არსებული სამი ძირითადი ტიპის ურთიერთობა-მიმართებას: ა) სახელდების ანუ საკუთრივ ნომინაციის მიმართებას, ბ) ჩვენებით ანუ ინდექსაციის მიმართებას და გ) აღნიშვნის ანუ დენოტაციის მიმართებას. შესაბამისად, ენაში გამოყოფენ რეფერენციის საშუალებათა სამ ძირითად ტიპს. ესენია: საკუთარი სახელები, დეიქტური ენობრივი საშუალებები და სახელადი ფრაზები ანუ დესკრიფციები.

1. საკუთარი სახელები საკუთრივ სახელდების ფუნქციას ასრულებენ ექსტრალინ-გვისტურ ობიექტთან მიმართებაში და კონკრეტული, ე.წ. სინგულარული რეფერენციის უნარი გააჩნიათ მხოლოდ კომუნიკანტთა ფონური ცოდნის ან კონტექსტური ინფორმაციის გათვალისწინებით. ეს განპირობებულია იმით, რომ თავისთავად საკუთარი სახელები მოკლებულნი არიან კონცეპტუალურ მნიშვნელობას (აზრს), თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთ ზოგად მონაცემებს, რომლებიც ასახავენ ადამიანთა დიფერენცირებას სქესის, ზოგჯერ კი ეროვნების მიხედვით (საკუთარ სახელთა რეფერენტულობის ფილოსოფიური ასპექტის შესახებ იხ.: Searle 1958, Вендлер 1982, Доннелан 1982, Ayer 1976);

2. დეიქტური ენობრივი საშუალებები (უმთავრესად პირის და ჩვენებითი ნაცვალსახელები) ექსტრალინგვისტურ ობიექტთა ინდენტიფიკაციას ახდენენ არა მათი დამახასიათებელი იმანენტური (თანდაყოლილი) ნიშან-თვისებების მიხედვით, არამედ მათი დამოკიდებულებით სამეტყველო აქტისადმი, მისი ძირითადი კოორდინატებისადმი, რომელთა ათვლის წერტილად მიჩნეულია მეტყველი სუბიექტი – გამონათქვამის მნიშვნელობის დაკონკრეტების ძირითადი ორიენტირი. ზოგიერთი მკვლევარის ლინგვისტურ კონცეფციაში შეიმჩნევა რეფერენციის დეიქტური მექანიზმის აბსოლუტიზაცია. მაგალითად, ჯ. ლაიონზის ცნობილ ნაშრომში „დეიქსისი, როგორც რეფერენციის წყარო“<sup>1</sup> ავტორი რეფერენციის არსს ხედავს თვალსაჩინო მითითების გზით საგნის გამოყოფაში და თვლის, რომ ამ მექანიზმს უნდა დაექვემდებაროს სიტყვის ობიექტთან შეპირისპირების ყველა სხვა საშუალება. თუმცა, საკითხის ასეთი ცალმხრივი კუთხით დაყენება საფუძველს არის მოკლებული და იგი აშკარად ამახინჯებს მეტყველების პროცესის რეალურ სურათს.

3. სახელადი ფრაზები, ანუ “დესკრიფციები“ (რასელისა და სტროსონის ტერმინოლოგიით – Рассел 1982, Стросон 1982) წარმოადგენს ზოგადი სახელისა და აქტუალიზატორის ნაერთს. აქტუალიზატორთა რიცხვს მიეკუთვნებიან არტიკლები,

---

<sup>1</sup> Lyons, J.(1991), Deixis as a Source of Reference. In: Lyons, J. Natural Language and Universal Grammar. Cambridge University Press, pp. 146-165.

[http://www.researchgate.net/publication/245857619\\_Deixis\\_as\\_a\\_source\\_of\\_reference](http://www.researchgate.net/publication/245857619_Deixis_as_a_source_of_reference)



ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელები, რიცხვითი სახელები და ა.შ.. დესკრიფციით შეიძლება აღინიშნოს ნებისმიერი ობიექტი (საგნობრივი თუ არასაგნობრივი, რეალურად თუ წარმოსახვაში არსებული), რადგანაც სახელის მნიშვნელობის საფუძველზე ადრესატს ეძლევა ინსტრუქცია ობიექტის ზოგადი თვისებების შესახებ; ხოლო აქტუალიზატორის სემანტიკა მისი პრაგმატიკული კომპონენ-ტებით საშუალებას აძლევს ადრესატს, ჰომოგენურ საგანთა კლასიდან გამოყოს ცალკეული ობიექტი კერძო ნიშან-თვისებათა და ურთიერთობების საფუძველზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგად სახელს თავისთავად არ შეუძლია რეფერენციის განხორციელება, რადგანაც აქტუა-ლიზატორის გარეშე იგი არის ლექსიკონის ერთეული, რომელსაც მხოლოდ დენოტატი, ანუ სტერეოტიპური ხატი გააჩნია. ზოგადი სახელი რეფერენციის უნარით აღიჭურვება მხოლოდ დესკრიფციაში, ე.ი. ტექსტში აქტუალიზებული.

ლინგვისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, რეფერენციის ენობრივ საშუალებათა ნიშნობრივ ტიპოლოგიას და მათი ტექსტში ფუნქციონირების თავისებურებათა გამოვლენას ახორციელებენ სამი ისეთი ძირითადი ფაქტორის გათვალისწინებით, როგორცაა:

- ა) ექსტრალინგვისტური სინამდვილე და მისი მრავალმხრივი წარმოჩენის შესაძლებლობა;
- ბ) ადამიანი მისი კოგნიტურ-შემეცნებითი აზროვნებისა და კომუნიკაციურობის უნარით;
- გ) თავად რეფერენციის ენობრივ საშუალებათა ინტრალინგვისტური თავისებურებანი.

მათგან პირველი გულისხმობს სამყაროს საგნობრივი მოწყობის ლოგიკას, რაც მის გვარობრივ-სახეობითი პრინციპით ორგანიზებაში მდგომარეობს. რეფერენციის კოგნიტური ასპექტი ითვალისწინებს, თუ როგორ ხდება ამა თუ იმ ექსტრალინგვისტური საგნის შემეცნება რეფერენციის პროცესში – მისი უბრალო სახელდებით, დეიქტური მითითებით, ობიექტურად დამახასიათებელი ონტოლოგიური (ბუნებრივი) მონაცემების მიხედვით თუ სუბიექტური აღქმის

შედეგად მისთვის რაიმე თვისების მიწერის ან განზოგადების გზით, რითაც კიდევ ერთ-ხელ ესმება ხაზი რეფერენციის ანთროპოცენტრისტულ ბუნებას. რეფერენციის საშუალებათა ინტრალინგვისტური თავისებურებანი ანუ თავად ენობრივ ნიშანთა სემანტიკა და მათი მახასიათებლური შესაძლებლობანი კი უზრუნველყოფს მეტყველი სუბიექტის მიერ არა მარტო მსჯელობის საგნის იდენტიფიკაციას ადრესატისათვის, არამედ მის შესახებ დამატებითი ცნობების მიწოდებას ან მის შეფასებას. რეფერენციის პროცესში ეს სამი ფაქტორი ურთიერთქმედებს, რაც ნათლად წარმოჩინდება როგორც საგნობრივ იდენტიფიკატორთა ნიშნობრივ ტიპოლოგიაში, ასევე მათი ფუნქციონირების თავისებურებების დადგენისას ტექსტში.

რეფერენციის პრობლემატიკისადმი მიძღვნილი ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი გვიჩვენებს, რომ თითქმის ყველა გამოკვლევა ატარებს ზოგად ხასიათს. მათში ძირითადად გაშუქებულია პრობლემის ლინგვოფილოსოფიური ან ლოგიკური ასპექტები. აქედან გამომდინარე, უაღრესად აქტუალურია რეფერენციის კონკრეტულ ენობრივ საშუალებათა (ანუ იდენტიფიკატორთა) სისტემაში მოყვანა და მათი ფუნქციური თავისებურებების გამოვლენა მეტყველებაში, შესაბამისად – ტექსტში.

რამდენადაც რეფერენციის აქტი მხოლოდ მეტყველების პროცესისათვის არის დამახასიათებელი (ე.ი. ტექსტობრივი მოვლენაა), იმდენად იდენტიფიკატორთა ფუნქციური თავისებურებების გამოვლენა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ისეთი ცნებების გამოყენებით, როგორცაა გამონათქვამის სემანტიკურ-პრაგმატიკული რეპრეზენტაცია, განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის პრაგმატიკულ-ტექსტობრივი კატეგორია, კორეფერენციის და სუბსტიტუციის ცნებები და მათი მიმართება რეფერენციის მექანიზმთან.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Russell, B.** (1905). On Denoting, *Mind*, Vol. 14. ISSN: 00264425. Basil Blackwell.
2. **Strawson, P. F.** (July 1950). "On Referring". *Mind*, Vol. 59 (235).
3. **Новое в зарубежной лингвистике**, Вып. 13: Проблемы референции. Москва: «Прогресс», 1982.
4. **Ayer A. J.**, Identity and Reference. – In: *Language in focus: foundations, methods and systems*. Ed. by A. Kasher. Dordrecht – Holland, 1976, p. 3-24.
5. **Geach P.**, Reference and Generality. Ithaca: Cornell University Press, 1962–170 p.
6. **Searle J.** (1958). Proper Names. // *Mind*, New Series, Vol. 67, No 266 (Apr.), Oxford: Oxford University Press: 166-173. <http://mc.man.ac.uk/misc/doc/filosofia /artiklid/John Searle /Proper Names.pdf>

## საკონტროლო კითხვები:

1. განმარტეთ სამეტყველო აქტის რეფერენტულ–პრედიკატული სტრუქტურის არსი.
2. ჩამოაყალიბეთ რეფერენციის ცნება.
3. განმარტეთ „იდენტიფიკატორის“ და „რეფერენტის“ ცნებები.
4. რაში მდგომარეობს რეფერენციის სინტაქსური კონცეფციის არსი?
5. რაში მდგომარეობს რეფერენციის ლოგიკურ–სემანტიკური კონცეფციის არსი?
6. რაში მდგომარეობს რეფერენციის პრაგმატიკული კონცეფციის არსი?
7. განმარტეთ თანამედროვე კოგნიტური ლინგვისტიკის მეთოდოლოგიური საფუძველი.
8. რაში მდგომარეობს საკუთარი სახელების რეფერენტული თავისებურებები?
9. რაში მდგომარეობს დეიქტური ენობრივი საშუალებების რეფერენტული თავისებურებები?
10. განმარტეთ სახელადი ფრაზის (დესკრიფციის) ცნება მისი კომპონენტებით.
11. დაასახელეთ და განმარტეთ სამი ძირითადი ფაქტორი, რომელსაც ეფუძნება რეფერენციის ენობრივ საშუალებათა ნიშნობრივი ტიპოლოგია.

### ლექცია 3

#### გამონათქვამის სემანტიკურ-პრაგმატიკული რეპრეზენტაციის ცნება თანამედროვე ანგლო-ამერიკელ მკვლევართა შრომებში

რეფერენციის მოვლენის განხილვა ხორციელდება ინტერსუბიექტურობის ფონზე გამონათქვამის (ანუ მეტყველებაში აქტუალიზებული წინადადების) სემანტიკურ-პრაგმატიკული რეპრეზენტაციის ჭრილში, რომელსაც საფუძვლად უდევს გამონათქვამის დიფერენცირება მის პროპოზიციულ შინაარსად და პრაგმატიკულ მიმართებად. იდეა, გამონათქვამის ამგვარი დიქტომიზაციის შესახებ, დასაბამს იღებს ფრანგი მეცნიერის შარლ ბალის ლინგვისტურ კონცეფციაში, ხოლო შემდგომი განვითარება ჰპოვა ოსტინის, სერლის და ვენდლერის მიერ შემუშავებულ “სამეტყველო აქტების თეორიაში.” გამონათქვამის სემანტიკურ-პრაგმატიკულ რეპრეზენტაციაში რეალიზებულია ენის ნომინაციური და კომუნიკაციური ასპექტების ერთობლიობა, რაც თავის მხრივ განპირობებულია სამეტყველო-აზრობრივი პროცესის ორი მხარის – კოგნიტურისა და სოციალურის ურთიერთმიმართებით.

შ. ბალის ლინგვისტური კონცეფციის ქვაკუთხედს წარმოადგენს გამონათქვამის დიფერენცირება მოდუსად და დიქტუმად. ცნება „დიქტუმი“ გულისხმობს ინფორმაციას სინამდვილის საგნებსა და მოვლენების შესახებ (ლინგვისტურ ლიტერატურაში, ამ ცნების ქვეშ ზოგჯერ ფაქტობრივ-შინაარსობრივი ინფორმაციის ცნებას განიხილავენ. იხ.: Гальперин 1981). მაგრამ ბალისათვის უმთავრესია გამონათქვამის მოდალურობა, რომელიც წარმოადგენს „მეტყველი სუბიექტის აქტიურ ოპერაციას“, რის შედეგაც ხდება მისი დამოკიდებულების გამოხატვა დიქტუმის მიმართ.

“სამეტყველო აქტების თეორიაში” მოდუსისა და დიქტუმის ცნებები შეიცვალა პროპოზიციისა და პრაგმატიკული მიმართების ცნებებით. ლინგვისტურ ლიტერატურაში პროპოზიციის ცნებას ორი მიმართულებით განიხილავენ: გარე სამყაროსთან მიმართებაში და საკუთრივ ლინგვისტურ კონტექსტში. პირველი

კრიტერიუმის მიხედვით, პროპოზიცია წარმოადგენს ექსტრალინგვისტური სიტუაციის/ხდომილების იკონისტურ ასახვას. ხოლო, თუ პროპოზიციას განვიხილავთ ლინგვისტურ კონტექსტში, მაშინ იგი უნდა გავიგოთ როგორც სემანტიკური კონსტანტა (მუდმივი), რომელიც დამოუკიდებელია როგორც მოდალური, შეფასებითი და ემოციური ასპექტებისაგან, ასევე წინადადების თვით ისეთი ტრანსფორმაციული გარდაქმნისაგან, როგორსაც წარმოადგენს ნომინალიზაცია.

ამჟამად პროპოზიცია განიხილება როგორც აბსტრაჰირებული აზრობრივი სტრუქტურა, რომელიც სემანტიკურ კონსტანტად გვევლინება გამონათქვამის კომუნიკაციური პარადიგმის ყველა წევრისათვის, ასახავს რა იმ ექსტრალინგვისტურ სიტუაციას, რომლის მიმართაც ხორციელდება სამეტყველო აქტი. მაგალითად, გამონათქვამები – “Put the vase on the table!” “You will put the vase on the table.” “Will you put the vase on the table?” “You’d better put the vase on the table” – შეიცავს ერთი და იგივე პროპოზიციულ შინაარსს, მაშინ როდესაც ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება ილოკუციური ფუნქციით ანუ კომუნიკაციური მიზანდასახულობით, რომელიც აქ მოყვანილი თითოეული კონკრეტული გამონათქვამისათვის განისაზღვრება როგორც მოთხოვნა, წინასწარმეტყველება, თხოვნა და რჩევა. არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ პროპოზიციებს შეუძლიათ შეასრულონ სამი ძირითადი ფუნქცია (Vendler 1967):

1. აღნიშნონ ექსტრალინგვისტური ხდომილება ან სიტუაცია;
2. გადმოსცენ ცნობები ამ მოვლენების ან სიტუაციების შესახებ;
3. დააზუსტონ სხვა პროპოზიცია.

რამდენადაც პროპოზიცია სამყაროსეულ ხდომილებას ან სიტუაციას ასახავს თავის სტრუქტურაში, იმდენად იგი მოიცავს რეფერენციის და პრედიკაციის აქტების ერთობლიობას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათგან რეფერენცია გულისხმობს ამა თუ იმ ენობრივი ერთეულით მსჯელობის საგნის/საგნების გამოყოფას (დაფიქსირებას) მაშინ როდესაც პრედიკაცია ითვალისწინებს მისთვის გარკვეული ნიშან-თვისების მიწერას.

კოგნიტურ ლინგვისტიკაში პროპოზიციის სტრუქტურულ-სემანტიკური ორგანიზაციის საფუძვლად განიხილავენ სიმბოლური ლოგიკის პრედიკატულ-არგუმენტულ მიდგომას. შესაბამისად, პროპოზიციის ცენტრალურ და მარგანიზებელ კომპონენტად მიჩნეულია პრედიკატი, რომლის სემანტიკაც განაპირობებს მის არგუმენტულ კონფიგურაციას, რომელშიც პრედიკატსა და არგუმენტს/არგუმენტებს შორის არსებული ოთხი ძირითადი ტიპის ლოგიკური ურთიერთმიმართებები აისახება: მოქმედების ანუ აქციონალობის, პროცესუალობის, მდგომარეობის ან თვისობრიობის მიმართებები. თითოეული არგუმენტი კი ხასიათდება მისი აზრობრივი, სემანტიკური როლით პრედიკატთან მიმართებაში, ანუ ფილმორის ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, მისი “სიღრმისეული ბრუნვის” მიხედვით (Fillmore 1968).

საილუსტრაციოდ გთავაზობთ ამერიკელი მკვლევარის აარტსის მიერ შემუშავებულ არგუმენტთა სისტემას, რომელიც, ჩვენი აზრით, რელევანტურია ნებისმიერი ექსტრა-ლინგვისტური სიტუაციის/ხდომილების აღსაწერად:

1.	აგენსი	არგუმენტი, რომელიც მოქმედების შემსრულებელ ცოცხალ არსებაზე მიუთითებს: <b>Nick</b> is working in the garden.
2.	ექსპერიენსერი	არგუმენტი, რომელიც რაიმე ფსიქიკურ ან ემოციურ მდგომარეობაში მყოფ არსებაზე მიუთითებს: <b>The girl</b> felt so miserable she couldn't help crying.
3.	პაციენსი	არგუმენტი, რომელიც იმ ცოცხალ არსებაზე მიუთითებს, რომელზეც მოქმედება არის ორიენტირებული ან ურთიერთობის ადრესატს წარმოაგენს: He painted his <b>wife</b> in nude.
4.	ელემენტივი	არგუმენტი, რომელიც მოქმედების/პროცესის უსულო შემსრულებელზე მიუთითებს. ჩვეულებრივად, ელემენტივის რეფერენტებს შეიძლება წარმოადგენდნენ ბუნებრივი ძალები და მოვლენები, ციური სხეულები და ა.შ. მაგ.: <b>The wind</b> upset the boat. <b>The sun</b> was shining brightly.

5.	ობიექტივი	არგუმენტი, რომელიც იმ უსულო საგანზე მიუთითებს, რომლის მიმართაც ხორციელდება მოქმედება: Mother has planted some <b>flowers</b> in front of the house.
6.	ინსტრუმენტატივი	არგუმენტი, რომელიც აგენსის მიერ რაიმე ქმედების განხორციელების მიზნით გამოყენებულ საგანზე მიუთითებს: He opened the door <b>with his key</b> .
7.	ბენეფიციარი	არგუმენტი, რომელიც იმ პირზე მიუთითებს, ვის სასარგებლოდაც რაიმე ქმედება ხორციელდება: Mother is cooking dinner <b>for granny</b> .
8.	რეციპიენტი	არგუმენტი, რომელიც რაიმის მიმღებ ადამიანზე ან, ე.წ. კვაზისულიერ ერთეულზე (მაგ. ორგანიზაცია, დაწესებულება და სხვ.) მიუთითებს: <b>John</b> was sent a letter. <b>The University</b> has received an important donation lately.
9.	ლოკატივი	მოქმედების ადგილი ან მისი სივრცული ორიენტაცია: He sent his son <b>to London</b> .

მაგრამ პროპოზიცია წარმოადგენს სამეტყველო აქტის მხოლოდ ნაწილს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამონათქვამი წარმოიქმნება მისი პროპოზიციული ანუ სემანტიკური შინაარსის და პრაგმატიკული მიმართების ურთიერთქმედების შედეგად. პრაგმატიკული მიმართება (pragmatic attitudes) ფართო ცნებაა, რომელიც მოიცავს ყოველივე იმას, რასაც ჩვეულებრივ გულისხმობენ სამეტყველო სიტუაციის ქვეშ. თანამედროვე პრაგმატიკა სარგებლობს ცნებებით, რომლებიც ნასესხებია ფსიქოლოგიიდან და სოციოლინგვისტიკიდან. ეს სავსებით მისაღებია, რადგანაც თავისთავად კომუნიკაციის პროცესი ინტერსუბიექტურია, რამდენადაც იგი გულისხმობს მინიმუმ ორი ადამიანის თანამონაწილეობას სამეტყველო ურთიერთობისათვის საჭირო მთელი რიგი ნიშან-თვისებებით. განვიხილოთ ეს ნიშან-თვისებები:

კომუნიკაციის პროცესში მოსაუბრეებს გააჩნიათ გარკვეული მოტივები, რომელიც სტიმულს აძლევს საუბრის დაწყებას. სტიმულად კი შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის პრაქტიკული მოთხოვნილება:

- ა) ჩამოაყალიბოს და გადმოსცეს თავისი აზრები;
- ბ) კონტაქტში შევიდეს სხვა ადამიანებთან ინფორმაციის გადაცემის ან მისი მიღების მიზნით,
- გ) დაარეგულიროს ადრესატის ქმედება მისი ფსიქიკის ემოციურ და ინტელექტუალურ სფეროებზე ვერბალური ზემოქმედების გზით.

ყოველივე ეს დაკავშირებულია მეტყველი სუბიექტის ინტენციასთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინტენციის, ანუ მეტყველი სუბიექტის კომუნიკაციური ჩანაფიქრის, ფსიქოლოგიურ საფუძვლად გვევლინება მისი პრაქტიკული მოთხოვნილებით მოტივირებული ასპექტი. ინტენცია ყოველთვის წინ უსწრებს გამონათქვამის ვერბალიზაციას და მის წინარე ეტაპს წარმოადგენს. ინტენციის არსი მდგომარეობს არა მხოლოდ მეტყველი სუბიექტის განზრახვაში გადმოსცეს რამე, არამედ მის მისწრაფებაში, რომ ეს რამე გამოხატული იყოს მისი მიზნების შესაბამისად ამა თუ იმ ენობრივი საშუალებით კონტექსტური ინფორმაციის და ადრესატის ფონური ცოდნის გათვალისწინებით. ინტენცია განსაზღვრავს კომუნიკაციის მიზანს – იქნება ეს ინფორმაციის გაცვლა, კომუნიკაციის პარტნიორზე ზემოქმედება თუ სხვა. აქედან გამომდინარე, ინტენცია გვევლინება უადრესად ტევად პრაგმატიკულ კატეგორიად, რომელიც ტექსტის წარმომქმნელ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს.

მეტყველების პროცესში, ვერბალურამდე სტადიაზე, ინტენციასთან ერთად მონაწილეობს მეტყველი სუბიექტის ფონური ცოდნა, რომელიც დიდ როლს ასრულებს გამონათქვამის ფორმირებასა და ექსპლიკაციაში, და რომელსაც ლინგვისტურ ლიტერატურაში პრესუპოზიციას უწოდებენ. ტერმინი პრესუპოზიცია ენის ლოგიკური ანალიზის დროს პირველად გამოიყენა ფრეგემ, ხოლო შემდეგ კი ფართო გავრცელება ჰპოვა ლინგვისტურ ლიტერატურაში. არსებობს პრესუპოზიციის ცნების სხვადასხვა ინტერპრეტაცია, თუმცა ყველაზე ხშირად პრესუპოზიციის ცნების



ქვეშ გულისხმობენ როგორც ლინგვისტურ, ისე ექსტრალინგვისტურ ფონურ ცოდნას, რომელიც გამონათქვამს კონკრეტულ მნიშვნელობას ანიჭებს. პრესუპოზიციათა ჯამი ქმნის კომუნიკაციის ინფორმაციულ ფონს, რომელიც სამეტყველო სიტუაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

თითოეული კომუნიკანტი ფლობს ინდივიდუალურ საბაზო ინფორმაციას, რომელიც ხშირად სხვადასხვაა. მაგრამ სამეტყველო ურთიერთობის მიმდინარეობის პარალელურად, კომუნიკანტებს უგროვდებათ საერთო კონტექსტური ინფორმაცია, რომელსაც თავის მხრივ ემატება ექსტრალინგვისტური ფონური ცოდნა. კონტექსტური ინფორმაციული ფონი მოსაუბრეებს საშუალებას აძლევს მოახდინონ იმპლიკაციური გამონათქვამების პროდუცირება, ქარაგმულად მიანიშნონ ამა თუ იმ მოვლენაზე, გამოიყენონ მეტყველებაში ენობრივი სუბსტიტუტები და ა.შ..

გამონათქვამის ფორმირებისას მეტყველი სუბიექტის ინტენცია და ფონური ცოდნა გადაჯაჭვულია მის ექსპექტაციასთან. ექსპექტაციას ანუ მოლოდინს, უშუალო კავშირი აქვს სინამდვილის ასახვის პროგნოზირებასთან, რომლის თანახმადაც ადამიანს გააჩნია უნარი თანდაყოლილი და შეძენილი გამოცდილების საფუძველზე წინასწარ განჭვრიტოს და განსაზღვროს არა მარტო სიტუაციის შესაძლო განვითარება, არამედ ადრესატის მოსალოდნელი რეაქციაც. მეტყველი სუბიექტი ცდილობს, დაახლოებით მაინც გამოიცნოს ადრესატის შემხვედრი ექსპექტაცია, რაც თავისთავად განაპირობებს არა მარტო მსჯელობის საგნის შერჩევას, არამედ მის ენობრივ გაფორმებასაც. შესაბამისად, ექსპექტაციის ცნება წარმოგვიდგება როგორც გამონათქვამის პრაგმატიკული მიმართების ფსიქოლინგვისტური კატეგორია,

ურთიერთობის სამეტყველო აზრობრივი პროცესი (ზემოჩამოთვლილ პრაგმატიკულ ფაქტორებთან ერთად) მოიცავს კომუნიკანტთა ენობრივ კომპეტენციას, ანუ მათ მიერ ენის სტრუქტურისა და ნორმების ცოდნას. ენობრივი კომპეტენცია ორმხრივი ხასიათისაა, რამდენადაც, ერთი მხრივ, იგი საშუალებას აძლევს მეტყველ სუბიექტს მოახდინოს ლექსიკურ-გრამატიკულად სწორად გაფორმებული გამონათქვამის პროდუცირება; მეორე მხრივ კი, იგი შესაძლებელს ხდის, ადრესატმა ადეკვატურად მოახდინოს გამონათქვამის აღქმა-დეკოდირება.

შესაბამისად, კომუნიკანტების ენობრივი კომპეტენცია მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც საერთო უნდა იყოს მათთვის, რადგანაც ენის ფლობის ერთნაირი დონე უზრუნველყოფს მათ შორის ურთიერთგაგებას. თავის მხრივ კომუნიკანტთა ენობრივი კომპეტენცია განაპირობებს მათ სამეტყველო კომპეტენციას, ანუ იმას, თუ როგორ გამოიყენებენ ისინი ენის ცოდნას უშუალოდ მეტყველების დროს.

ამასთან დაკავშირებით, უკანასკნელ ხანს სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა სამეტყველო პოსტულატების შემუშავებას, რომლებიც მეტნაკლებად არეგულირებენ კომუნიკანტთა სამეტყველო ქცევის ნორმებს. დღემდე ჩამოყალიბებული პოსტულატებიდან, ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს პოლ გრაისის მიერ შემოთავაზებული მაქსიმები, რომლებიც ორიენტირებულია თანამშრომლობის ანუ კოოპერაციის პრინციპების დაცვაზე (Grice 1976). გრაისის ლინგვისტურ კონცეფციაში თანამშრომლობის პრინციპების რეალიზება ხდება ქცევის ოთხი ძირითადი წესის, ანუ მაქსიმის (მახიმს) დაცვით. ესენია:

1. რაოდენობრიობის ანუ ინფორმატულობის მაქსიმა რომელიც გამოხატულია შემდეგი პოსტულატით: „თქვენი გამონათქვამი არ უნდა შეიცავდეს იმაზე მეტ ან ნაკლებ ინფორმაციას, რაც საჭიროა!”
2. თვისობრიობის ანუ ჭეშმარიტების მაქსიმა, რომლის არსიც მდგომარეობს შემდეგში: „ნუ იტყვით იმას, რისი თქმის საფუძველიც არ გაგაჩნიათ!”
3. დამოკიდებულების ანუ რელევანტობის მაქსიმა, რომელიც დემონსტრირებულია სამეტყველო პოსტულატით: „ნუ გადაუხვევთ საუბრის თემიდან! ილაპარაკეთ მხოლოდ მსჯელობის საგანზე!”
4. აზრის მკაფიოდ გამოხატვის ანუ აზრის გამოხატვის ენობრივ საშუალებათა მაქსიმა, რომლის პრეზენტაციაც ხდება პოსტულატებით: „ერიდეთ გაუგებარ გამონათქვამებს!“ „იყავით მოკლე!“ „იყავით ორგანიზებული!”

აშკარაა, რომ ყველა ეს მაქსიმა ჩამოყალიბებულია ადრესატის ფაქტორის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ენობრივი კომუნიკაციის დროს თანამშრომლობის პრინციპების დაცვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ გამონათქვამის სემანტიკურ-პრაგმატიკული რეპრეზენტაცია გულისხმობს მისი პროპოზიციული შინაარსისა და პრაგმატიკული მიმართების ერთობლობას. კოგნიტურ ლინგვისტიკაში პროპოზიცია განიხილება როგორც აბსტრაქტირებული აზრობრივი სტრუქტურა, რომელიც სემანტიკურ კონსტანტად გვევლინება გამონათქვამის კომუნიკაციური პარადიგმის ყველა წევრისათვის, ასახავს რა იმ ექსტრალინგვისტურ სიტუაციას, რომლის მიმართაც ხორციელდება სამეტყველო აქტი. გამონათქვამის პრაგმატიკული მიმართების ცნების ქვეშ კი იგულისხმება იმ კომუნიკაციურ-პრაგმატიკულ ფაქტორთა ერთობლიობა (მოტივს + ინტენცია + პრესუპოზიციათა ჯამი + ექსპექტაცია + კომუნიკანტთა ენობრივი და სამეტყველო კომპეტენცია), რომელიც ქმნის კონ-კრეტული სამეტყველო აქტის სოციო-ფსიქოლოგიურ სიტუაციას და უზრუნველყოფს გამო-ნათქვამის კომუნიკაციურ ერთმნიშვნელოვნებას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Aarts B.** English Syntax and Argumentation. Modern Linguistics Series. London: MacMillan Press, 2001: 94-95.
2. **Austin J.L.**, How to do things with words, London: Oxford University Press, 1962. <sup>1</sup>
3. **Fillmore C. J.** *The Case for Case*. In: Bach E. and Harms R.T. (eds.) Universals in Linguistic Theory. New York-Holt: Rinehart and Winston. 1968: 1-80.
4. **Searle J.R.**, Speech acts: an essay in the philosophy of language. London: Cambridge University Press, 1969.
5. **Vendler Z.**, Linguistics in philosophy. Cornell University Press, Ithaca – New York, 1967 - 203 p.
6. **Балли Ш.**, Общая лингвистика и вопросы французского языкознания. М., 1955.
7. **Гальперин И.Р.**, Текст как объект лингвистического исследования. М., 1981).

## საკონტროლო კითხვები:

1. განმარტეთ ინტენციის არსი.
2. განმარტეთ პრესუპოზიციის ცნება.
3. განმარტეთ ექსპექტაციის ცნება.
4. განმარტეთ ენობრივი და სამეტყველო კომპეტენციის ცნებები.
5. განმარტეთ გამონათქვამის სემანტიკურ–პრაგმატიკული რეპრეზენტაციის ცნება.

## ლექცია 4

### განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორიის პრაგმატიკულ-ტექსტობრივი არსი და მისი მიმართება რეფერენცის მექანიზმთან

განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორიას ტრადიციულად გამონათქვამის სემანტიკურ, ანუ ცნებით კატეგორიათა რიცხვს მიაკუთვნებენ. ლინგვისტურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში<sup>2</sup> მოცემული განმარტების მიხედვით, მისი ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს “როგორც სახელის აქტუალიზაციასა და დეტერმინაციაში, ისე მოცემულ სიტუაციაში მისი ერთადერთობის დემონსტრირებაში (განსაზღვრულობა), ან ჰომოგენურ სახელებთან მისი მიმართების გამოხატვაში (განუსაზღვრელობა)”.

ყოველ ენას გააჩნია აღნიშნული კატეგორიის გამოხატვის საშუალებები, რომლებიც ვარირებს ერთი ენიდან მეორეზე გადასვლისას. მთელ რიგ ენებში, მათ შორის ინგლისურშიც, აქტუალიზებული სახელის განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის მაჩვენებლად, პირველ რიგში, არტიკლი გვევლინება.

---

<sup>2</sup> Лингвистический Энциклопедический Словарь, Москва: «Советская Энциклопедия», 1990, с. 349.

ტრადიციულად, ინგლისური ენის გრამატიკაში არტიკლები წარმოდგენილია ბინარული ოპოზიციით – არტიკლი the, რომელიც განსაზღვრულობის მარკერია, და არტიკლი a/an, რომელიც განუსაზღვრელობის მაჩვენებელია. განიხილავენ ასევე არტიკლთა სამკომპონენტო სისტემას, რომელიც წარმოდგენილია განსაზღვრული, განუსაზღვრელი და ნულოვანი არტიკლებით (Biber et al. 2004: 17). არტიკლებთან ერთად, განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორიის მარკერებად გვევლინება ასევე ისეთი დეიქტური აქტუალიზატორები, როგორცაა ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელები. ყველა მათგანის ძირითადი დანიშნულება მდგომარეობს არსებითი სახელით გამოხატული ცნების აქტუალიზებაში, რაც გულისხმობს მის შეპირისპირებას ტექსტში ასახულ ობიექტურ რეალობასთან. აქტუალიზატორის გარეშე აღებული არსებითი სახელი წარმოადგენს ვირტუა-ლურ ნიშანს, სალექსიკონო ერთეულს, რომელსაც დენოტატი ანუ ცნებითი შინაარსით შექმნილი ხატი (სტერეოტიპი) გააჩნია. მხოლოდ მეტყველებაში აქტუალიზებულ არსებით სახელს შესწევს უნარი, მოახდინოს რეალურად არსებული ექსტრალინგვისტური საგნის (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) იდენტიფიკაცია, ანუ ჰქონდეს რეფერენტი.

განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორიის და მისი მარკერების განხილვისას, მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას ბადებს განსაზღვრული არტიკლის (the) ლინგვის-ტური სტატუსის დადგენა. ზოგიერთი მეცნიერი ამ არტიკლს მიაკუთვნებს დეიქტურ ენობრივ ნიშანთა კლასს იმის საფუძველზე, რომ მას შეუძლია ინდექსალური იდენტიფიკატორის ფუნქციის შესრულება. იმის გამო, რომ ეტიმოლოგიურად განსაზღვრული არტიკლი ჩვენებითი ნაცვალსახელის (that) დერივატივს წარმოადგენს, ბუნებრივია, რომ მათი მნიშვნელობები ბევრ შემთხვევაში ერთმანეთს კვეთს, რის შედეგადაც გარკვეულ სამეტყველო სიტუაციებში ისინი ურთიერთჩანაცვლებადნი არიან. და მაინც, გაუმართლებლად მიგვაჩნია მათი ერთმანეთთან გაიგივება.

არტიკლის პრობლემატიკისადმი მიძღვნილი ლიტერატურის განზოგადება შესაძლებელს ხდის გამოვყოთ ის ძირითადი ნიშან-თვისებები, რომლითაც განსაზღვრული არტიკლი განსხვავდება დეიქტური აქტუალიზატორებისაგან:

მიუხედავად იმისა, რომ განსაზღვრული არტიკლი “the” მეტყველების პროცესში ხშირად ასრულებს ინდექსალურ (ჩვენებით) ფუნქციას, მისი მიკუთვნება დეიქტური ერთეულებისადმი მცდარად მიგვაჩნია, რამდენადაც მას არ გააჩნია ის ფუნქციურ-სემანტიკური ნიშან-თვისებები, რომელთა ერთობლიობაც აყალიბებს დეიქსისის ცნებას, და რომელთა საფუძველზეც დეიქტურ ლექსიკურ ერთეულებს მინიჭებული აქვთ სრულმნიშვნელოვან სიტყვათა სტატუსი. დეიქსისი არის კატეგორიალური მნიშვნელობა ენის სისტემაში არსებულ გარკვეულ სიტყვათა კლასისა, რომელთა კატეგორიალური მნიშვნელობის დადგენისას მკვლევარები პირველხარისხიან მნიშვნელობას ანიჭებენ იმ კომუნიკაციურ-პრაგმატიკული კონტექსტის მოცულობის განსაზღვრას, რომლის ბაზაზეც ხდება ამ ერთეულთა გამოყოფისათვის საჭირო კრიტერიუმების შემუშავება. თანამედროვე ნაშრომებში<sup>3</sup> დეიქსისი განიხილება ურთიერთობის ძირითადი ერთეულის, სამეტყველო აქტის პრიზმაში, რომელიც საფუძვლად უდევს გამონათქვამის და ტექსტის წარმოქმნას. დეიქტური სიტყვები წარმოადგენს ანთროპოცენტრიზმის გამოხატულებას ენაში, რამდენადაც მათი მნიშვნელობა ორიენტირებულია მეტყველ სუბიექტზე.

დეიქტურ სიტყვათა მთავარი დანიშნულება მდგომარეობს კონკრეტული სამეტყველო აქტის ორგანიზებაში იმ პირთა და საგანთა, ადგილისა და დროის იდენტიფიცირების და დიფერენცირების გზით, რომლებიც ქმნიან ურთიერთობის სოციალურ-კომუნიკაციურ, ტემპორალურ და ლოკაციურ ველს. დეიქტურ სიტყვებს საკუთარი ცნებითი შინაარსი გააჩნიათ, რის გამოც მათ შეუძლიათ წინადადებაში დამოუკიდებელი წევრის, შესაბამისად კი დამოუკიდებელი იდენტიფიკატორის

---

<sup>3</sup> იხ. კოლექტიური მონოგრაფიები დეიქსისის პრობლემატიკაზე: Essays on deixis. Ed. by G. Rauh, Tübingen: Narr, 1983; Here and There. Cross-Linguistic Studies on Deixis and Demonstration. Ed. by J. Weissenborn and W. Klein, Amsterdam – Philadelphia, 1992; Fillmore, Ch. Toward a theory of deixis. – In: Working papers in Linguistics. Department of Linguistics. Honolulu: University of Hawaii, 1981, v.3, № 4, p. 219-243.

ფუნქციის შესრულება. ასეთ დროს აუცილებელია, რომ დეიქტური ნიშნით რეფერირებული საგანი ექვემდებარებოდეს კომუნიკანტთა მგრძნობელობით აღქმას, რაც გულისხმობს მის ფიზიკურ არსებობას სამეტყველო სიტუაციაში:

**Walter:** (rising, moving to the sideboard and picking up the flowers)

I found **these** in the lane. They are quite rare. I thought you might be interested.

**Loise:** (taking the flowers) How very charming. I am very touched. Thank you, my dear.

(Shaffer, P., Five Finger Exercise, p. 58)

განსაზღვრულ არტიკლს კი საკუთარი ცნებითი შინაარსი არ გააჩნია, რის გამოც უმეტეს შემთხვევაში იგი განიხილება როგორც ენის სისტემის სინტაქსური მორფემის ტიპის დამხმარე ელემენტი, რომლის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს ვირტუალური ენობრივი ნიშნების აქტუალიზაცია მეტყველებაში.

დეიქტურ ნაცვალსახელთა და განსაზღვრული არტიკლის the შეპირისპირებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ჩვენებით და კუთვნილებით ნაცვალსახელებს უფრო ძლიერი იდენტიფიკაციის უნარი გააჩნიათ ვიდრე განსაზღვრულ არტიკლს, რაც იმით აიხსნება, რომ დეიქტურ სიტყვათა მნიშვნელობაში ფიგურირებს სემები, რომელთა მიხედვითაც ხდება რეფერირებული ექსტრალინგვისტური ობიექტის მოძებნა. არტიკლს კი ასეთი სემები არ გააჩნია, რის გამოც იგი მხოლოდ სამეტყველო სიტუაციიდან გამომდინარე იდენტიფიკაციას ადასტურებს და თავის მხრივ რაიმე ახალს არ ამატებს მას. ამის საილუსტრაციოდ ვენდლერს მოჰყავს შემდეგი მაგალითი (Вендлер 1982):

- The house has burnt down.
- Which house?
- That house / Your house.

გამოიყენებს რა დეიქტურ სიტყვებს That ან Your, მეტყველი სუბიექტი თითქოს ინსტრუქციას აძლევს ადრესატს რეფერირებული ობიექტის მოსაძებნად. ტერმინი

“დეიქსისი” (ბერძნ. Deixis – “მითითება”, “ჩვენება”) დასაბამს იღებს ძველ ბერძნულ გრამატიკებში, სადაც ის გამოიყენებოდა ჩვენებითი ნაცვალსახელების (this – that, these – those) აღსანიშნავად. ეს იმით აიხსნებოდა, რომ არსებითი სახელებისაგან განსხვავებით, დეიქტური ნიშნები მხოლოდ ოსტენსიურად<sup>4</sup> მიათითებენ ექსტრალინგვისტური სინამდვილის ამა თუ იმ ობიექტზე. მათგან განსხვავებით, არტიკლს არ შეუძლია კონტექსტიდან ამოგლეჯილად განახორციელოს იდენტიფიკაცია, რის გამოც იგი აუცილებლად მოითხოვს რაიმე მსაზღვრელის დამატებას. მაგალითად: The house you sold yesterday. ვენდლერმა წამოაყენა და ტრანსფორმაციული მეთოდის გამოყენებით დაამტკიცა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ არსებითი სახელის წინ განსაზღვრული არტიკლის გამოყენება განპირობებულია სიტუაციური თვალსაჩინოებით, რომლის ვერბალიზებული ექსპლიკაცია კომუნიკაციურად მიზანშეწონილი არ არის (Вендлер 1982: 209). მაგალითად, გამონათქვამში – I see the water in the glass – არტიკლი the წარმოადგენს მარკერს რედუცირებული განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების, რომლის რეკონსტრუირებაც საჭიროების შემთხვევაში ადვილი შესაძლებელია: I see the water , which is in the glass.

რასელის აზრით (Russell 1982), განსაზღვრული არტიკლის დეიქტური (ინდექსალური) გამოყენების დროს საჭიროა, რომ აუცილებლად იყოს დაცული პირობა სამეტყველო სიტუაციაში რეფერირებული ობიექტის არსებობის და მისი ერთადერთობის შესახებ, რაც გამორიცხავს კომუნიკანტთა მხედველობის არეში მეორე, მსგავსი ობიექტის არსებობას. ინფორმაცია ობიექტის არსებობისა და მისი ერთადერთობის შესახებ (uniquely existential assertion) არ წარმოადგენს კომუნიკაციურად მნიშვნელოვანს, რის გამოც იგი გამონათქვამში მხოლოდ პრეზუმპციის სახით ფიგურირებს, რაც ენობრივად გაფორმებულია არტიკლით the.

---

<sup>4</sup> ოსტენსიური მითითება გულისხმობს ჩვენების პროცესში ენობრივი და არაენობრივი, ანუ კინესიკური (ჟესტი, მიმიკა და ა.შ.) საშუალებების სინქრონულ გამოყენებას. ამასთან დაკავშირებით, იხ.: Here and there. Cross-linguistic studies on deixis and demonstration. Amsterdam – Philadelphia, 1982.



ანალოგიურ აზრს ავითარებს სტროსონი (Crosson 1982), რომელსაც მიაჩნია, რომ გამონათქვამი “The table is covered with books.” წარმოადგენს რედუცირებულ ტრანსფორმს გამონათქვამისა: “The table, which is a unique representative of the class of tables here, where the speech act takes place, is covered with books.” რა თქმა უნდა, ასეთი გამონათქვამი კომუნიკაციურად გადატვირთული და არაეკონომიურია, რამდენადაც მასში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს იმ ფიზიკური გარემოს ვერბალურ აღწერას, რომელშიც კომუნიკაცია ხორციელდება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ინგლისურ ენაში განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების რედუცირება და მისი არტიკლით სუბსტიტუცია წარმოადგენს არა გამონაკლისს, არამედ ნორმას.

განსაზღვრული არტიკლის და დემონსტრაციის შეპირისპირების თვალსაზრისით, საინტერესოდ მიგვაჩნია ქრისტოფერსენის ლინგვისტური კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ინგლისურ ენაში განსაზღვრული არტიკლის იდენტიფიკატორული ფუნქციონირება უშუალოდ არის დაკავშირებული რეფერირებული ექსტრალინგვისტური საგნის ერთადერთობასთან, რა დროსაც ადრესატის ყურადღება იმდენად ვიწროდ არის ორიენტირებული, რომ მეტყველი სუბიექტის მიერ არტიკლის გამოყენება არ აყოვნებს მსჯელობის საგნის იდენტიფიკაციას. არტიკლისგან განსხვავებით, დემონსტრაცივი არ მოითხოვს ყურადღების ასეთ ვიწრო ორიენტირებას, რადგან მის მნიშვნელობაში ფიგურირებს სემები, რომელთა საფუძველზეც მას შეუძლია რამდენიმე შესაძლებელისგან გამოყოს ერთი კონკრეტული ობიექტი (Christophersen 1989).

ქრისტოფერსენი განიხილავს რეფერენტული ექსტრალინგვისტური ობიექტის ერთადერთობის ორ სახეს: სიტუაციურს და ენციკლოპედიურს. ავტორი მიუთითებს, რომ ობიექტის სიტუაციური ერთადერთობის დროს სახეზე გვაქვს განსაზღვრული არტიკლის დეიქტური ანუ ინდექსალური გამოყენება, რადგანაც ობიექტი ექვემდებარება კომუნიკანტთა მგრძნობელობით აღქმას, რის შედეგადაც რეფერენტსა და იდენტიფიკატორს შორის მყარდება უშუალო ვიზუალური კავშირი. მაგალითად, “Pass me the salt, please.” ობიექტის ენციკლოპედიური ერთადერთობის დროს კი

იდენტიფიკაციის წარმატებით განხორციელება ემყარება კომუნიკანტთა ფონურ ცოდნას, რომლის დიაპაზონიც ცვალებადია, რამდენადაც იგი შეიძლება საერთო ჰქონდეთ როგორც ერთი ოჯახის წევრებს, ასევე ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებს ერთი საწარმოს, სახელმწიფოს და შესაძლებელია პლანეტის ფარგლებშიც კი. ამით აიხსნება განსაზღვრული არტიკლის გამოყენება ისეთი ტიპის უნიკუმებთან, როგორცაა: the mother, the Director, the President, the Queen და სხვა.

ურთიერთგაგების სიტუაციური ბაზისის ზრდასთან ერთად, იდენტიფიკაციის ობიექტის ეგზისტენციალური ერთადერთობა სცდება სამეტყველო აქტის ფარგლებს და იძენს ე.წ. “ენციკლოპედიურ” თვისებებს, რის შედეგადაც განსაზღვრული არტიკლი კარგავს დეიქტურ ანუ ინდექსალურ ფუნქციას, თუმცა ინარჩუნებს კონკრეტულ-რეფერენტული აქტუალიზატორის მნიშვნელობას მასში რეალიზებული კუთვნილების გამომხატველი კონოტაციური სემის წყალობით. სწორედ ასეთი მიდგომით შეიძლება აიხსნას განსაზღვრული არტიკლისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელის ურთიერთჩანაცვლების შესაძლებლობა ისეთი ტიპის უნიკუმების წინ, როგორცაა: the mother <—> my mother, the house <—> our house. არსებობებს ასევე ე.წ. აბსოლუტური უნიკუმები – “the sun”, “the moon”, “the earth” (“მზე”, “მთვარე”, “დედამიწა”), რომელთა აქტუალიზაცია ხდება მხოლოდ განსაზღვრული არტიკლის საშუალებით, რა დროსაც ეს უკანასკნელი კარგავს ალტერნატივის შესაძლებლობას კუთვნილებით ნაცვალსახელთან მიმართებაში, რადგანაც ურთიერთგაგების ბაზისი ამ სახელებთან დაკავშირებით პლანეტის ყველა ხალხებს ერთნაირად პერმანენტული აქვთ.

დისკურსის და სამეტყველო აქტების თეორიების განვითარების პარალელურად, შეიცვალა მიდგომა განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორიის მიმართ. ამჟამად, განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორია განიხილება როგორც პრაგმატიკულ-ტექსტობრივი კატეგორია. განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორიის პრაგმატიზაცია გულისხმობს მის განხილვას ინტერსუბიექტურობის და ინტერაქტიულობის ფონზე. დისკურსის თეორიაში ინტერაქტიულობა გულისხმობს კომუნიკანტთა თანამონაწილეობას ვერბალური ურთიერთობის პროცესში, ხოლო

ინტერსუბიექტურობა გაიგება როგორც ფსიქოლოგიურად და ფენომენოლოგიურად განცდილი ერთობლიობა. განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორიის ინტერსუბიექტურობა და ინტერაქციულობა ნიშნავს იმას, რომ, ამა თუ იმ არტიკლის გამოყენებისას, ადრესანტი ითვალისწინებს ადრესატის ფაქტორს მისი ფონური ცოდნით. შესაბამისად, იგი განუსაზღვრელ არტიკლს გამოიყენებს მსჯელობის საგნის პირველადი ინტროდუქციის დროს ტექსტში, როდესაც არსებითი სახელით აღნიშნული ექსტრალინგვისტური საგანი ჯერ კიდევ უცნობია ადრესატისთვის; ხოლო იგივე საგნის შემდგომ აქტუალიზებას იგი უკვე ახორციელებს განსაზღვრული არტიკლის საშუალებით. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ საინფორმაციო შეტყობინებას ამერიკული პრესიდან:

### False Alarm

**A 12-year-old boy** got mad at his parents Friday night because they refused to let **him** go fishing on the Colorado River with relatives. So, while the parents were distracted during a barbecue with eight adult friends, **he** slipped away from his sister and three brothers, snatched the keys to a Volkswagen Beetle and drove off in one of his parent's four cars, prompting fears that **he** had been kidnapped. El Cajon police sent teletype descriptions of **the curly, 90-pound six-grader** to law enforcement agencies throughout Southern California and the Arizona border area. **The boy** was found unharmed – but scared and sleepy – at about noon yesterday by Sun Diego County sheriff's deputies.

(“Sunday Times”, 2004, July 25)

განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორიის პრაგმატიზაცია გამოხატულებას ჰპოვებს მის ინფორმატულობაშიც. “წინადადების ფუნქციური პერსპექტივის თეორიის” (The Theory of Functional Sentence Perspective) მიხედვით, ესა თუ ის ითვლება ცნობილად (თემად) და ახლად (რემად) ადრესატის ფაქტორის გათვალისწინებით. ინგლისურ ენაში განსაზღვრული არტიკლი, როგორც წესი, აღნიშნავს ადრესატისათვის უკვე ცნობილ მსჯელობის საგანს, რომელიც წინადადების ინფორმაციულ სტრუქტურაში თემის ფუნქციას ასრულებს, ანუ

მიუთითებს იმაზე, რაზეც შეტყობინება კეთდება; ხოლო განუსაზღვრელი არტიკლი კი ახალ საგანზე მიანიშნებს, რის გამოც იგი, ჩვეულებრივად, რემის ფუნქციას ასრულებს, მიუთითებს რა იმ ახალ ინფორმაციაზე, რისი შეტყობინებაც კეთდება გამონათქვამში.

უახლეს ლინგვისტურ ლიტერატურაში არტიკლის პრაგმატიზაციას მის ტექსტოლოგიზაციასთან კავშირში განიხილავენ. არტიკლი ის ენობრივი ერთეულია, რომელიც ერთმანეთს უკავშირებს ტექსტის სხვადასხვა კომპონენტებს. როცა ვხმარობთ განუსაზღვრელ არტიკლს, იგულისხმება, რომ შემდეგ იმავე არსებით სახელს განსაზღვრული არტიკლით ვიხმართ. ამით ტექსტის წინა ნაწილი უკავშირდება მომდევნო ნაწილს. ამდენად, არტიკლი ასრულებს ტექსტში კოჰეზია-კოჰერენტულობის სინტაქსური საშუალების ფუნქციას. მაგრამ არტიკლის ტექსტოლოგიური ფუნქცია შეუძლებელი იქნებოდა პრაგმატიზაციის ფუნქციის გარეშე. ფაქტობრივად, ეს არის ერთი და იგივე ფუნქცია, დანახული ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული, მაგრამ შინაგანად დაკავშირებული თვალსაზრისით: ერთი მხრივ, კომუნიკანტთა ურთიერთმიმართების, ხოლო მეორე მხრივ – წინადადებათა ურთიერთდაკავშირების თვალსაზრისით. სწორედ ამაში მდგომარეობს განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორიის პრაგმატიკულ-ტექსტობრივი არსის გამოვლინება დისკურსში.

განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორიის პრაგმატიკულ-ტექსტობრივი არსი ყველაზე სრულყოფილად წარმოჩინდა ამერიკელი მკვლევარის დონელანის მიერ შემუშავებულ სამკომპონენტო მოდელში, რომლის თანახმადაც განსაზღვრულობიდან განუსაზღვრულობისკენ გადასვლა გრადუალურ (თანდათანობით) ხასიათს ატარებს და ეფუძნება როგორც პრაგმატიკულ, ასევე კონტექსტურ მაჩვენებლებს (Donnelan 1979). აღნიშნულ კონცეფციაში განსაზღვრულობის ორიენტირად განიხილება როგორც ადრესატი მისი პრაგმატიკული ფონური ცოდნით, ასევე ის კონტექსტური ინფორმაცია, რომელიც კომუნიკანტებს ერთად უგროვდებათ დისკურსის მსვლელობის პროცესში. შესაბამისად, დონელანი გამოყოფს განსაზღვრულობის ორ სახეს: პრაგმატიკულს და ტექსტობრივს. აღნიშნულ

ფაქტორებზე დაყრდნობით, ავტორი ახდენს სახელადი ფრაზების დიფერენცირებას სამ ძირითად ტიპად: განსაზღვრული, სუსტად განსაზღვრული და განუსაზღვრელი. სახელი განსაზღვრულად ითვლება მაშინ, როდესაც იგი გამოიყენება იმ ექსტრალინგვისტური საგნის ან მოვლენის რეფერირებისათვის, რომელიც ერთდროულად არის ცნობილი ორივე კომუნიკანტისათვის. მაგალითად:

“**The child** was early born, it came and died. Grandfather took it and burried it in the garden”.

(Coppard, A.E., The Watercress Girl, p. 202)

სახელის სუსტად განსაზღვრულობის დროს, რეფერენტი ცნობილია მხოლოდ მეტყველი სუბიექტისთვის, მაშინ როდესაც იგი უცნობია ადრესატისთვის:

“It was late and everyone had left the cafe except **an old man**, who sat down in the shadow, the leaves of the tree made against the electric light...”

(Hemingway, E., A Clean, Well-Lighted Place, p. 150)

სახელის განუსაზღვრელობის დროს კი, რეფერენტი უცნობია ორივე კომუნიკანტისთვის. სახელი განუსაზღვრელია, ანუ კონკრეტულ მნიშვნელობას არის მოკლებული, როდესაც იგი გამოიყენება ჰიპოთეტურად არსებული საგნების აღსანიშნავად, რის გამოც მას რეფერენტი არ გააჩნია. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ამ ტიპის გამონათქვამებს:

“John wants to catch **a fish** and eat it for supper”.

“If I had **a car**, I would drive it carefully.”

ენობრივი მასალის განზოგადება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ და ამაზე მეტყველებს ამერიკული პრესიდან ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი მაგალითიც, რომ თანამედროვე ინგლისურში ექსტრალინგვისტური საგნის პირველადი ინტროდუქცია ტექსტში, იდეალურ ვარიანტში, ფონური ცოდნის შემქმნელი სუსტად განსაზღვრული სახელით ან სახელადი ფრაზით ხორციელდება, ხოლო მისი შემდგომი აქტუალიზაციის დროს კი იგი იცვლება განსაზღვრული ფრაზით ან

სუბსტიტუტით, რომელთა სემანტიკაც რეტროსპექტულია და კონტექსტურად განპირობებული.

მხატვრულ ტექსტში ხშირია განსაზღვრული არტიკლის ინიციალური გამოყენება, რასაც ასევე უკავშირებენ არტიკლის ფუნქციონირების პრაგმატიზაციას. კერძოდ, მას მიიჩნევენ ავტორის კომუნიკაციური ჩანაფიქრის ექსპლიკაციის სტილისტურ სტრატეგიად, რომელიც მიზნად ისახავს მკითხველის ესთეტიკური რეცეფციის დაუყონებლივ ორიენტირებას მსჯელობის საგანსა და მის მნიშვნელობაზე. მაგალითად:

“**The automobile** stopped at the corner of Sixteenth and some dingy-looking street. **The lady** got out. **The man** and **the little girl** stayed in the car”.

(Fitzgerlad F.S., Outside the Cabinet-Makers, p. 151)

ამრიგად, განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორიის პრაგმატიკულ-ტექსტობრივი არსი განპირობებულია დისკურსის ინტერაქციულობით და ინტერსუბიექტურობით, რაც გულისხმობს როგორც კომუნიკანტთა თანამონაწილეობას მასში, ასევე მათ მიერ ფსიქოლო-გიურად და ფენომენოლოგიურად განცდილ ერთობლიობას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Biber, D., Conrad, S. & G. Leech**, Student Grammar of Spoken and Written English. Longman: Pearson Education Limited, 2003.
2. **Christophersen P.**, The articles. A study of their theory and use in English, OUP, 1989.
3. **Donnelan K**, Speaker reference, descriptions and anaphora. - In: Contemporary perspectives, 1979, p. 28 - 44.

4. **Вендлер, З.**, Сингулярные термы. В кн.: НЗЛ, вып. XIII, М.: «Радуга», 1982, с. 203-236.
5. **Рассел Б.**, Дескрипции. - В кн.: НЗЛ, вып. XIII, М.: «Радуга», 1982, стр.41-54.
6. **Стросон П.**, Идентифицирующая референция и истинное значение. - В кн.: НЗЛ, вып. XIII, М.: «Радуга», 1982, стр.55 - 86.

### **საკონტროლო კითხვები:**

1. განმარტეთ განსაზღვრულობა–განუსაზღვრელობის კატეგორიის ფუნქციურ–სემანტიკური არსი ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონის მიხედვით.
2. რაში მდგომარეობს მთავარი განმასხვავებელი ნიშანი განსაზღვრულ არტიკლსა და დეიქტურ აქტუალიზატორებს შორის?
3. რატომ აქვთ დეიქტურ აქტუალიზატორებს უფრო ძლიერი იდენტიფიკაციის უნარი ვიდრე განსაზღვრულ არტიკლს?
4. რასელის თეორია განსაზღვრული არტიკლის გამოყენებასთან დაკავშირებით.
5. განმარტეთ რეფერენტული ობიექტის ერთადერთობის სახეები ქრისტოფერსენის მიხედვით (სიტუაციური, ენციკლოპედიური და აბსოლუტური უნიკუმები).
6. რას გულისხმობს განსაზღვრულობა–განუსაზღვრელობის კატეგორიის პრაგმატიზაცია? განმარტეთ ინტერსუბიექტურობის და ინტერაქციულობის ცნებები. რას გულისხმობს განსაზღვრულობა–განუსაზღვრელობის ინტერსუბიექტურობა და ინტერაქციულობა?
7. რას გულისხმობს არტიკლის ტექსტოლოგიზაცია?
8. განმარტეთ განსაზღვრულობა–განუსაზღვრელობის კატეგორიის პრაგმატიკულ–ტექსტობრივი არსი დონელანის თეორიის მიხედვით. დაასახელეთ და განმარტეთ სახელადი ფრაზის სამი ძირითადი ტიპი დონელანის მოდელის მიხედვით. მიეცით მაგალითები.
9. განმარტეთ განსაზღვრული არტიკლის ინიციალური გამოყენება ტექსტში.

## ლექცია 5

### კორეფერენციისა და სუბსტიტუციის ცნებები და მათი მიმართება რეფერენციის მექანიზმთან. "ანაფორული კუნძულების თეორია" ამერიკულ ლინგვისტურ ლიტერატურაში<sup>5</sup>

რეფერენციის პრობლემის კვლევა აუცილებლად გულისხმობს მასთან უშუალოდ დაკავშირებული ისეთი ცნებების განხილვას, როგორცაა კორეფერენცია და სუბსტიტუცია, რომელთა ძირითადი დანიშნულებაც მდგომარეობს ტექსტის სტრუქტურულ-სემანტიკური მთლიანობის, ანუ მისი კოჰეზია-კოჰერენტულობის ორგანიზებაში.

ტექსტის სტრუქტურულ-სემანტიკური მთლიანობა განპირობებულია სამეტყველო ურთიერთობის აზრობრივი მიზანდასახულობით, რომელიც ენის სისტემის სხვადასხვა დონის ერთეულებს აერთიანებს განუყოფელ მთელში ტექსტის რეფერენტული ხაზის უწყვეტი განვითარებით. ყოველი ტექსტი, როგორც ადამიანთა შემეცნებითი მოღვაწეობის ნაყოფი, შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას რეალურად თუ წარმოსახვაში არსებულ ობიექტთა თვისებებსა და მათი ურთიერთმიმართების შესახებ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ესა თუ ის ობიექტი (საგნობრივი თუ არასაგნობრივი) მეტყველი სუბიექტის კომუნიკაციური ინტენციის შესაბამისად გადაიქცევა მსჯელობის საგნად რეფერენციის აქტის მეშვეობით, რა დროსაც იგი ამ ობიექტის აღსანიშნავად ენის ლექსიკური მარაგიდან ირჩევს საჭირო ერთეულს ადრესატის ფონური ცოდნის და პრაგმატიკული მიმართების გათვალისწინებით. რამდენადაც უმეტეს შემთხვევაში ტექსტს გააჩნია გარკვეული მოცულობა და განფენილობა, იმდენად ერთი და იგივე ობიექტი მასში მოხსენიებულია, როგორც წესი, მინიმუმ ორჯერ. ამასთან, ყოველი ხსენებისას ობიექტი წარმოგვიდგება ახალი

---

<sup>5</sup> ლექციას საფუძვლად უდევს სტატია: კირვალიძე ნ., კორეფერენციის და სუბსტიტუციის ტექსტისწარმომქმნელი თავისებურებანი თანამედროვე ინგლისურში. // "ენა, თარგმანი, ლიტერატურა", ტომი VI. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული. თბილისი: "ენა და კულტურა", 2001: 56 – 62.



კუთხით და თვისებით, რაც თავისთავად ხელს უწყობს რეფერენტული ხაზის უწყვეტ განვითარებას.

რეფერენტული ხაზის უწყვეტი განვრცობის პარალელურად დგება საკითხი უკვე ნახსენები ობიექტის ხელმეორედ აღნიშვნის შესახებ, რადგანაც მსჯელობის საგნის იდენტიფიკაცია ტექსტში ერთი და იგივე სახელით მიუღებელია არა მარტო სტილისტურად, არამედ აზრობრივადაც. ზოგიერთ შემთხვევაში კი მან შეიძლება გამოიწვიოს გამონათქვამის შინაარსის შეცვლაც. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითებს:

**“Everybody is loved by his mother.”**

**“No-one drives when he is drunk.”**

ამ გამონათქვამების შინაარსი შეიცვლება, თუ მსჯელობის საგნის მეორადი იდენტიფიკაციის დროს სუბსტიტუტების “his” და “he” ნაცვლად გამოვიყენებთ შესაბამის საწყის სახელებს:

**“Everybody is loved by everybody’s mother.”**

**“No-one drives when no-one is drunk.”**

ენობრივ მასალაზე დაკვირვებები ცხადყოფს, რომ ტექსტის რეფერენტული ხაზის ბუნებრივი განვითარება განაპირობებს მისი პრეზენტაციის ენობრივ საშუალებათა ვარირებას, რის შედეგადაც წარმოიქმნება დასახელებათა (იდენტიფიკატორთა) თანმიმდევრობა, რომელთა შორისაც მყარდება კორეფერენტული ურთიერთობები. ანგლო-ამერიკულ ლინგვისტურ ლიტერატურაში კორეფერენტულობის ცნება აღინიშნება ტერმინებით: “coreference” (Partee 1970; Karttunen 1976), “cross-reference” (Quine 1971), “back-reference” (Geach 1976). ამ ავტორთა ნაშრომების კრიტიკული განზოგადება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მიუხედავად ტერმინოლოგიური განსხვავებისა, კორეფერენტულობის ცნების ქვეშ ისინი გულისხმობენ ურთიერთობებს იმ ენობრივ ნიშნებს (სახელებსა და სახელად ფრაზებს შორის), რომლებიც აღნიშნავენ ერთი და იგივე ექსტრალინგვისტურ ობიექტს, ფაქტს, მოვლენას და ა.შ., ანუ გააჩნიათ ერთი და იგივე რეფერენტი. ლინგვისტურ ლიტერატურაში კორეფერენტულობა განიხილება როგორც

გაბმული ტექსტის მთლიანობის სემანტიკური საფუძველი, რადგანაც იგი გულისხმობს ერთი და იგივე ექსტრალინგვისტური ობიექტის სამეტყველო სახელსხვაობას.

ტექსტის ზედაპირულ სტრუქტურაში კორეფერენტულობა გამოხატულებას ჰპოვებს სახელთა ურთიერთჩანაცვლებაში ანუ სუბსტიტუციაში, როდესაც ერთი სიტყვის ან ფრაზის მნიშვნელობის დაკონკრეტება მოითხოვს მის შეპირისპირებას (რეტროსპექტულად თუ პერსპექტულად) სხვა ერთეულთან, რომელთანაც მას სინტაქსური კავშირი არ გააჩნია.

სიტყვათა ურთიერთჩანაცვლების, ანუ სუბსტიტუციის მოვლენა უკვე საკმაო ხანია, რაც ენათმეცნიერთა ყურადღებას იქცევს. სუბსტიტუციის პრობლემაზე მრავალი გამოკვლევა არსებობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, დღემდე არ არის დაკონკრეტებული, რა იგულისხმება ამ ცნების ქვეშ. ლიტერატურის კრიტიკული განზოგადება ცხადყოფს, რომ არსებობს ამ მოვლენის ინტერ-პეტაციისადმი სამი მიდგომა:

1. ლექსიკურ-მორფოლოგიური, რომლის თანახმადაც სუბსტიტუციის ცნების ქვეშ იგულისხმება უაღრესად ფართო სემანტიკის (ზოგადი მნიშვნელობის) მქონე რაიმე სიტყვის გამოყენება, რომელიც თავისი მნიშვნელობით ფარავს უკვე გამოყენებული გარკვეული ტიპის ყველა სიტყვას და ფრაზას. ოტო იესპერსენს თავის ნაშრომში "გრამატიკის ფილოსოფია" (Jestersen 1924, 90-91) მოჰყავს ამ ტიპის სიტყვათა მთელი ჯგუფი ინგლისური ენიდან და ახდენს მათ დიფერენცირებას იმის მიხედვით, თუ მეტყველების რომელი ნაწილის სუბსტიტუციის უნარი გააჩნიათ მათ. შესაბამისად, იგი გამოყოფს პრო-სუბსტანტივებს, პრო-ადვერბებს, პრო-ადიექტივებს, პრო-ვერბებს და პრო-ინფინიტივებს (მაგალითად, he, she, it, they, that, those, one, so, such, do, to, etc.). ლინგვისტურ ლიტერატურაში ამ ტიპის სიტყვები ცნობილია პრო-ფორმების სახელით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ლექსიკურ-მორფოლოგიური გაგებით, სუბსტიტუცია ხაზოვანი გრამატიკის კატეგორიას წარმოადგენს, რომელიც ტექსტის თანმიმდევრული განვრცობის სფეროს ემსახურება.

2. სტრუქტურულ-სინტაქსური მიდგომა ამ მოვლენისადმი გულისხმობს წინადადების სტრუქტურის ერთი ელემენტის ჩანაცვლებას მთლიანად დესემანტიზირებული (ანუ მნიშვნელობადაკარგული) სხვა ერთეულით, რომელიც წინადადების წყობაში დამხმარე სტრუქტურული ელემენტის ფუნქციას ასრულებს. სუბსტიტუციის სტრუქტურულ-სინტაქსური კონცეფცია, რომელმაც ფართო ლინგვისტური აღიარება მოიპოვა, განპირობებულია წინადადების სტრუქტურირების მკაცრი წესებით, კერძოდ, მისი სტრუქტურული დასრულებულობით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე.წ. ანალიტიკური ენებისათვის, სადაც მორფოლოგიურ საშუალებათა სიმცირის გამო, წინადადების წევრთა სტრუქტურული განსაზღვრულობა უზრუნველყოფილია უმთავრესად ენის სინტაქსური საშუალებებით. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა თეზისი იმის შესახებ, რომ წინადადების სტრუქტურული დასრულებულობის მიზნით აუცილებელია, რომ ინგლისური ენის გარკვეული ტიპის წინადადებებში ნულოვანი სტრუქტურული ელემენტის ადგილი, რომელიც ჩვეულებრივად სრულმნიშვნელოვანი სიტყვით არის ხოლმე წარმოდგენილი, შეივსოს დესემანტიზირებული სიტყვა-სუბსტიტუტით. ეს გულისხმობს იმას, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მხოლოდ სუფთა სტრუქტურულ-სინტაქსურ ჩანაცვლებასთან ანუ წინადადების სქემაში პოზიციის შევსებასთან. ზემოთქმულის საილუსტრაციად გამოდგება ინგლისური ენის ისეთი ტიპის წინადადებები, როგორცაა: “It is cold”, “There is a book on the table”, “Do you speak English?”, რომლებშიც სიტყვები – it, there, do – გამოიყენება როგორც დამხმარე ტიპის სტრუქტურული ელემენტები, რომელთა დანიშნულებაც მდგომარეობს წინადადების სქემატურ დასრულებაში.

3. გრამატიკულ-პარადიგმატული მიდგომა, რომელიც სათავეს ბლუმფილდის იდეებიდან იღებს (Bloomfield 1933). ბლუმფილდმა საფუძველი ჩაუყარა ე.წ. სუბსტიტუციის თეორიას, რომელმაც შემდგომში განვითარება ჰპოვა მთელ რიგ მეცნიერთა კვლევებში. ამ თეორიის თანახმად, სუბსტიტუტებად გვევლინებიან ზოგადი მნიშვნელობის მქონე სიტყვები, რომლებსაც ფართო სემანტიკური ტევადობის გამო, შესწევთ უნარი შეცვალონ მოცემულ სიტყვათა კლასის ნებისმიერი

წარმომადგენელი. ამ თვალსაზრისით, მისი სუბსტიტუციის თეორია ეხმიანება იესპერსენის თეორიას. ამავდროულად, ბლუმფილდი სუბსტიტუტებს განასხვავებს სამი პარამეტრის მიხედვით:

ა) მათი ფუნქციობის სფეროთი, რომელიც დაფუნქციონირებულია მათ მიერ ჩანაცვლებულ სიტყვათა კლასიფიკაციაზე. შედეგად, იგი გამოყოფს სუბსტიტუტთა ისეთ სახეებს, როგორცაა: სახელადი (I, you, they, nobody), ზმნური (do), ადიექტური (such) და ა.შ. სახეები;

ბ) სამეტყველო პირობების მიხედვით (Conventional circumstances), რაც გულისხმობს კონკრეტული სუბსტიტუტების კონკრეტულ ფუნქციონირებას, რის შედეგაც ხორციელდება სუბსტიტუტთა ძირითადი სახეების შემდგომი სუბკატეგორიზაცია მათი ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებების მიხედვით;

გ) ტექსტში ანტეცედენტის ყოფნა-არყოფნის მიხედვით, რის შედეგადაც ხდება სუბსტიტუტთა ხელმეორედ გადააზრება სხვა მიმართულებით, რის საფუძველზეც შესაძლებელია მათი დიფერენცირება ანაფორულ (he, she, they, etc.) და არაანაფორულ სახეებად (I, you, we, nobody, somebody, etc.). ბლუმფილდის სუბსტიტუციის თეორიის ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ იგი სუბსტიტუტთა კატეგორიას მიაკუთვნებს ისეთ დეიქტურ სიტყვებსაც, როგორცაა I, you და we, რომლებიც მოკლებულნი არიან სახელთა ჩანაცვლების უნარს.

ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე სუბსტიტუციის თეორია საკმაოდ დაიხვეწა, მაგრამ მიუხედავად ამისა, დღემდე არ არის დაკონკრეტებული, რა იგულისხმება ამ ცნების ქვეშ. თანამედროვე კლასიკური გაგებით, ნოამ ჩომსკის განმარტებით, რომელიც მას "სინტაქსურ სტრუქტურებში" აქვს მოცემული, სუბსტიტუცია არის დამოკიდებულება ტექსტის ორ ელემენტს შორის, რომელიც მათ რეფერენტთა იგივეობას ეფუძნება (Chomsky 1957). მაგალითად:

“Yesterday I bought *a new dress* for *my daughter* and sent *it* to *her*”.

ამ წინადადებაში სახეზე გვაქვს სუბსტიტუციის ორი შემთხვევა: *a new dress*, რომელიც იცვლება სუბსტიტუტით *it* და *my daughter*, რომელიც შემდგომში წარმოდგენილია სუბსტიტუტით *her*. ამ განმარტების მიხედვით, სუბსტიტუცია

კორეფერენციის ცნებას ემთხვევა, რადგანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კორეფერენცია არის დამოკიდებულება ორ ან რამოდენიმე ენობრივ ერთეულს შორის, რომლებსაც ერთი და იგივე ექსტრალინგვისტური რეფერენტი აქვთ.

სუბსტიტუციის ამგვარმა გაგებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ამერიკულ ლინგვისტიკაში თითქმის ერთდროულად ჩამოყალიბდა ორი სხვადასხვა კონცეფცია – კონცეპტუალური და “ანაფორული კუნძულების” კონცეფციები, რომლებიც ეწინააღმდეგება სუბსტიტუციისადმი ასეთ მიდგომას:

სუბსტიტუციის კონცეპტუალური თეორიის შემქმნელები (გიჩი, კარტუნენი და ბარბარა ჰოლ-პარტი) მიიჩნევენ, რომ სუბსტიტუციის დროს არ არის აუცილებელი კორელატურ (შეპირისპირებულ) სახელებს შორის კორეფერენტული ურთიერთობების არსებობა, რამდენადაც საკმარისია მათ შორის არსებობდეს კონცეპტუალური ანუ ცნებითი ერთიანობა. ამ აზრის დასამტკიცებლად მათ მოჰყავთ შემდეგი ტიპის მაგალითები:

“The man who gave his **paycheck** to his wife was wiser, than the man, who gave **it** to his mistress” (Karttunen 1969).

“A man who sometimes beats **his wife** has more sense than the one, who always gives in to **her**” (Partee 1970).

მეორე კონცეფცია ლინგვისტურ ლიტერატურაში ცნობილია "ანაფორული კუნძულების თეორიის" (“The Theory of Anaphoric Islands”) სახელწოდებით. მისი ავტორები პოსტალი, ბრესნანი, ლაკოფი და როსი თვლიან, რომ სუბსტიტუცია თავის რეალიზებას ჰპოვებს ანაფორულ სტრუქტურაში, რომელიც ეფუძნება ანტეცედენტისა და სუბსტიტუტის ურთიერთობებს. ამ კონცეფციის თანახმადაც, სუბსტიტუცია ყოველთვის არ გულისხმობს კორეფერენტული ურთიერთობების არსებობას, რადგანაც ზოგ შემთხვევაში ანტეცედენტი იმპლიციტური ფორმით არის მოცემული გამონათქვამში და ადრესატს შეუძლია მისი ინფერენცია, ანუ ლოგიკურად გამოთვლა, კორელაციური ლექსიკური ერთეულის სემანტიკაზე დაყრდნობით. საილუსტრაციოდ პოსტალს მოჰყავს შემდეგი მაგალითი:

“Max is an *orphan* and he misses **them**.” (Postal 1972)

("მაქსი ოზოლია და მას ძალიან ენატრება ისინი").

ამ გამონათქვამში ლექსემა *orphan* შეიცავს იმპლიკაციას: „ოზოლი არის პიროვნება, რომელსაც არ ჰყავს ერთ-ერთი ან ორივე მშობელი“. ადრესატს ეს ინფორმაცია ფონური ცოდნის (პრესუპოზიციის) სახით გააჩნია და ამიტომ მას შეუძლია ლოგიკურად გამოთვალოს სუბსტიტუტის ანტეცედენტი. მოცემულ შემთხვევაში ეს გულისხმობს: Max is an orphan and he misses them (his parents). ანალოგიური მაგალითი მოჰყავს ბრესნანსაც, რომელშიც ანაფორული ურთიერთობები ასევე დაფუძნებულია კორელატიურ ენობრივ ერთეულებს შორის არსებულ იმპლიკაციურ სემანტიკურ კავშირებზე (Bresnan 1971):

“Jack has never been hit by a pigeon, but it happened to me, and I had a hard time to wash it off”.

მოცემულ გამონათქვამში სუბსტიტუტის *it* ანტეცედენტს წარმოადგენს სახელადი ფრაზა *pigeon's dropping*, რომელიც ლოგიკურად გამოიყვანება ადრესატის მიერ კორელაციური ფრაზიდან *to be hit by a pigeon*.

ხსენებულ მკვლევართა ნაშრომების კრიტიკული განზოგადება საშუალებას იძლევა სუბსტიტუციის ცნება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: სუბსტიტუცია არის ტექსტობრივი კატეგორია, რომელიც მის ხაზოვან განვრცობას ემსახურება და გულისხმობს ენობრივ ერთეულთა ურთიერთჩანაცვლებას მის ზედაპირულ სტრუქტურაში, როდესაც ერთი სიტყვის ან ფრაზის მნიშვნელობის დაკონკრეტება მოითხოვს მის შეპირისპირებას (რეტროსპექტულად თუ პერსპექტულად) სხვა ერთეულთან, რომელთანაც მას სინტაქსური კავშირი არ გააჩნია. სუბსტიტუცია რეალიზდება როგორც ენობრივ ერთეულთა შორის კორეფერენტული ან იმპლიკაციური ურთიერთობების დამყარების შედეგად, ასევე მათი კონცეპტუალური შინაარსის იგივეობის ბაზაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთჩანაცვლებადი ერთეულები ტექსტის ხაზოვან განვრცობაში სემანტიკურად ურთიერთდაკავშირებულ ჯაჭვს ქმნიან,

სუბსტიტუციის მექანიზმი რეალიზებას ჰპოვებს ყოველთვის ორკომპონენტთან სტრუქტურაში, სადაც ფიგურირებს:

- ა) უაღრესად ზოგადი მნიშვნელობისმქონე ერთეული, რომელიც სუბსტიტუტად გვევლინება;
- ბ) მისი კორელატი ანუ ის ენობრივი ერთეული, რომლის ჩანაცვლებაც ხდება სუბსტიტუციით. ტერმინი "კორელატი" გამოსაყენებლად უფრო მოსახერხებელია, რადგანაც მისი მოქმედების მიმართულება ორმხრივია, რაც გულისხმობს როგორც ანაფორული (რეტროსპექტული), ისე კატაფორული (პროსპექტული) ურთიერთობების დამყარებას ენობრივი ნიშნებს შორის.

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ დაუშვებელია სუბსტიტუციისა და კორეფერენციის გაიგივება. კორეფერენცია მიჩნეულია ტექსტის სემანტიკური მთლიანობის საფუძვლად, რამდენადაც იგი გულისხმობს ერთი და იგივე ექსტრალინგვისტური ობიექტის ენობრივი პრეზენტაციის ვარირებას მეტყველებაში. აქედან გამომდინარე, კორეფერენტულობა განიხილება როგორც სიღრმისეული პროცესი, რომელიც ხორციელდება ტექსტის წარმოქმნის ვერტიკალურ პარადიგმატულ ღერძზე, ხდება-რა ობიექტის აღნიშვნის ხერხის (საკუთრივ ნომინაცია, დეიქსისი თუ დენოტაცია) მიხედვით ენობრივ ერთეულთა სისტემიდან ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის ამორჩევა. სუბსტიტუციის მექანიზმი კი ორიენტირებულია ტექსტის წარმოქმნის ჰორიზონტალურ, სინტაგმატურ ღერძზე, როდესაც ერთი სიტყვის მნიშვნელობის დაკონკრეტება ხდება მისი შეპირისპირების გზით კორელატურ სიტყვასა თუ გამოთქმასთან მათ შორის კორეფერენტული, კონცეპტუალური ან იმპლიკაციური ურთიერთობების დამყარების შედეგად.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Bloomfield, L.**, Language. New York, 1933.
2. **Bresnan, J.**, A note on the notion “Identity of sense anaphora”. // “Linguistic Inquiry”, 1971, v. 2, №4, pp. 589-597.
3. **Chomsky, N.**, Syntactic structures. The Hague: Mouton, 1957.
4. **Geach, P.**, Back-Reference. – In: Language in focus: foundations, methods and systems. Ed. by A. Kasher, Dordrecht - Boston, 1976: 25-39.
5. **Hall-Partee, B.**, Opacity, coreference and pronouns. // “Synthese”, v. 21, nos. 3/4, 1970: 359-385.
6. **Jespersen O.** The Philosophy of Grammar. 1924. London: Allen & Unwin, 1924  
New York: Henry Holt & Co.
7. **Karttunen, L.**, Discourse referents. // Syntax and Semantics, v. 7. New York: Academic Press, 1976: 363-385.
8. **Postal, P. M.**, Some further limitations of interpretive theories of anaphora. // “Linguistic Inquiry”, v. 3, №3, 1972: 349-372.
9. **Quine, W. O.**, The inscrutability of reference. – In: Semantics: An interdisciplinary reader in philosophy, linguistics and psychology. Cambridge, 1971: 142-154.
10. ნინო კირვალიძე, კორეფერენციის და სუბსტიტუციის ტექსტისწარმომქმნელი თავისებურებანი თანამედროვე ინგლისურში. // “ენა, თარგმანი, ლიტერატურა”, ტომი VI. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული. თბილისი: “ენა და კულტურა”, 2001: 56–62.

## საკონტროლო კითხვები:

1. განმარტეთ კორეფერენტულობის ცნება თანამედროვე ლინგვისტიკაში.
2. განმარტეთ სუბსტიტუციის ცნება.
3. რას გულისხმობს სუბსტიტუციის ლექსიკურ–მორფოლოგიური ინტერპრეტაცია?
4. რას გულისხმობს სუბსტიტუციის სტრუქტურულ–სინტაქსური მიდგომა?
5. განმარტეთ სუბსტიტუციის კონცეპტუალური თეორიის არსი. მიეცით მაგალითები.
6. განმარტეთ ამერიკელი მკვლევარების მიერ შემუშავებული „ანაფორული კუნძულების თეორიის“ არსი. მიეცით მაგალითი.
7. დაახასიათეთ სუბსტიტუციის მექანიზმის სტრუქტურა.



## ლექცია 6

დესკრიფციის ცნება რეფერენციის თეორიაში და მისი ტიპები.

ტაქსონომიურ სახელთა ნიშნობრივი და რეფერენტული

თავისებურებები ინგლისურენოვან ტექსტში.

წინა ლექციაში უკვე აღვნიშნეთ, რომ სახელი რეფერენციის უნარით აღიჭურვება, ანუ იდენტიფიკატორად გვევლინება მხოლოდ მეტყველებაში აქტუალიზებული, რის შედეგადაც ის წარმოგვიდგება კონკრეტული, სინგულარული მნიშვნელობის მქონე სახელად ან სახელად ფრაზად, რომელსაც ანგლო-ამერიკულ ლინგვისტურ ლიტერატურაში დესკრიფციას უწოდებენ (რასელი, სტროსონი). სახელადი ფრაზა ანუ დესკრიფცია წარმოადგენს ზოგადი სახელისა და აქტუალიზატორის ნაერთს. თანამედროვე ინგლისურ ენაში აქტუალიზატორებად გვევლინება არტიკლები, ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელები (ე.ი. დეიქტური საშუალებები), რიცხვითი სახელები და კვანტორული ენობრივი ერთეულები. ზოგად სახელს თავისთავად არ შეუძლია რეფერენციის განხორციელება, რადგანაც ამ შემთხვევაში ის არის ლექსიკონის ერთეული რომელსაც მხოლოდ დენოტატი, ანუ სტერეოტიპი გააჩნია. რეფერენციის ცნებითი აპარატის განხილვისას, ჩვენ ასევე ერთმანეთისაგან გავმიჯნეთ დენოტატი და რეფერენტი, როდესაც მივუთითეთ, რომ დენოტატი არის ვირტუალური ენობრივი ნიშნით აღნიშნულ საგანთა კლასის ტიპიზირებული, უაღრესად ზოგადი თვისებების მატარებელი ხატი – სტერეოტიპი, მაშინ როდესაც რეფერენტი არის ის კონკრეტული ექსტრალინგვისტური ობიექტი, რომლის იდენტიფიკაციაც ხდება მეტყველებაში აქტუალიზებული სახელის ან სახელადი ფრაზის საშუალებით. ამავდროულად, ჩვენ უკვე დავადგინეთ რეფერენციის უშუალო კავშირი განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორიასთან, რომელიც თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში განიხილება როგორც პრაგმატიკულ-ტექსტობრივი კატეგორია, რომელიც განსაზღვრულობის გრადაციით ხასიათდება. შესაბამისად, ჩვენ

განვიხილეთ ამერიკელი ლინგვისტის დონელანის მიერ შემოთავაზებული განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის სამკომპონენტოანი მოდელი, რომელიც განპირობებულია როგორც სამეტყველო კომუნიკაციის ლინგვოპრაგმატიკული ფაქტორებით, ასევე იმ კონტექსტური ინფორმაციით, რომელიც კომუნიკანტებს სამეტყველო ურთიერთობის მიმდინარეობასთან ერთად უგროვდებათ. შესაბამისად, დონელანი გვთავაზობს დესკრიფციების (სახელადი ფრაზების) დიფერენცირებას სამ ძირითად ტიპად: განსაზღვრული, სუსტად განსაზღვრული და განუსაზღვრელი. ენობრივი მასალის განზოგადება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ თანამედროვე ინგლისურში ექსტრალინგვისტური საგნის პირველადი იდენტიფიკაცია, იდეალურ ვარიანტში, სუსტად განსაზღვრული სახელით ან სახელადი ფრაზით ხორციელდება, ხოლო მეორადი იდენტიფიკაციის დროს კი განუსაზღვრელი სახელადი ფრაზა განსაზღვრულით იცვლება.

რეფერენციის პროცესი, პირველ რიგში, დამოკიდებულია მეტყველი სუბიექტის კოგნიტურ აქტივობაზე ანუ იმაზე, თუ როგორ ხდება ამა თუ იმ ექსტრალინგვისტური ობიექტის სახელდების დროს მისი შემეცნება: მისთვის ობიექტურად დამახასიათებელი ონტოლოგიური (ე.ი. ბუნებრივი) მონაცემების საფუძველზე თუ სუბიექტური აღქმის შედეგად მისთვის რაიმე თვისობრიობის მიწერის ან განზოგადების გზით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეფერირებული ობიექტის ნომინაციაში ასახვას ჰპოვებს ფიზიკურად არსებული საგნობრივი სამყაროს შემეცნების ლოგიკა.

რა იგულისხმება ამ ნათქვამში? რამდენადაც ერთი და იგივე ექსტრალინგვისტური საგანი რამდენიმე ნიშან-თვისებით ხასიათდება, იმდენად ეს საგანი შეიძლება ერთდროულად მივაკუთვნოთ სხვადასხვა ლოგიკურ კლასს. კლასი – ეს არის ცნება იმ საგანთა ერთობლიობის შესახებ, რომელთაც საერთო ნიშან-თვისებები გააჩნიათ. იმის მიხედვით, თუ რა ნიშან-თვისებათა საფუძველზე ხდება საგანთა კლასიფიკაცია, ლოგიკაში განასხვავებენ ექსტრალინგვისტურ საგანთა ორი ტიპის კლასს:

- 1) ბუნებრივს ანუ ონტოლოგიურს, რომელიც იმანენტური, ბუნებრივი ნიშან-თვისებების საფუძველზე გამოიყვანება;
- 2) პრაგმატიკულს ანუ ნომინალურს, რომელთა არსებობაც განპირობებულია სუბიექტის აღქმის ორიენტაციით, რის შედეგადაც იგი ბუნებრივ საგნებს გადააზრებულად, თვისობ-რიობის სულ ახალი კუთხით წარმოაჩენს.

ბუნებრივი ანუ ონტოლოგიური კლასები ტაქსონომიურია თავისი არსით და მათი ერთობლიობა ფიზიკური სამყაროს მოდელის ანარეკლს, მის ენისმიერ ხატს ქმნის. ონტოლოგიურისაგან განსხვავებით, პრაგმატიკული ანუ ნომინალური კლასები ეფემერულია (გარდამავალია), რადგანაც ისინი კონკრეტული მიზნებიდან გამომდინარე გარკვეული სიტუაციისათვის იქმნება და როგორც კი ეს სიტუაცია წარსულის საკუთრება ხდება, მათი არსებობაც წყდება. შესაბამისად, ონტოლოგიური კლასები ასახვას ჰპოვებს ტაქსონომიურ სახელებში, ხოლო პრაგმატიკული კლასები კი – ატრიბუტულ, ანუ თვისობრივ სახელებში.

სამყარო უპირველესად აღიქმება როგორც ფიზიკურ საგანთა ერთობლიობა, რაც თავის ასახვას ჰპოვებს ონტოლოგიური კლასების ცნებაში, რომელიც ვერბალურად არის განივთებული ტაქსონომიურ სახელებში. ამ სახელთა სალექსიკონო დეფინიციების განზოგადების საფუძველზე შეიძლება ტაქსონომიური სახელის განმარტება ჩამოყალიბებულ იქნას შემდეგი სახით: ტაქსონომიურია სახელი, რომელიც ამა თუ იმ ონტოლოგიური კლასის წარმომადგენლის სახელდებას ახდენს მისთვის ობიექტურად დამახასიათებელი იმ არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით, რომლებიც მგრძნობელობით აღქმას ექვემდებარება და რომელთა ერთობლიობაც მოცემული სახელის ცნებით შინაარსს და ამავდროულად მის შესაბამის საგნობრივ სფეროს ქმნის. შესაბამისად, ტაქსონომიური სახელების სემურ შედგენილობაში დენოტატური სემები სჭარბობს სიგნიფიკატურს, ხოლო მათი განმარტებები ტერმინოლოგიურ–მეცნიერულია, რამდენადაც მათში ექსპლიცირებული ნიშან-თვისებები მოიაზრება იმ ზოგადკატეგორიულ მახასიათებლებად, რომლითაც ერთი კლასის საგანი მეორისაგან განსხვავდება. მაგალითისათვის ავიღოთ ადამიანის

აღმნიშვნელი ტექსონომიური სახელის "human" განმარტება The Concise Oxford Dictionary of Current English (1984) ლექსიკონიდან:

**human** – n. of or belonging to the genus Homo, distinguished from animals by superior mental development, power of articulate speech and upright posture (5, 485).

მოცემული ტექსონომიური სახელის განმარტება ნამდვილად ტერმინოლოგიურ-მეცნიერულია, რადგანაც მასში ექსპლიცირებულია ყველა ის ზოგადკატეგორიული ნიშან-თვისება, რომლითაც ადამიანი განსხვავდება სხვა სახის ცოცხალი არსებებისაგან. ეს თვისებებია აზროვნება, დანაწევრებული მეტყველება და სხეულის ვერტიკალური მდგომარეობა, რომელთა წყალობითაც ადამიანს შეუძლია განახორციელოს შემეცნებითი, სამეტყველო, შრომითი და ა.შ. სახის აქტივობები, და რომელთა ერთობლიობაც სიტყვა "ადამიანის" ცნებით შინაარსს ქმნის: Homo Sapiens, Homo Loquens და Homo Faber.

ენობრივი მასალის განზოგადების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ტექსონომიური სახელები ლოგიკურ-სემანტიკურ დიფერენცირებას ექვემდებარება და ამ პროცესს საფუძვლად უდევს ველის პრინციპის გამოყენება, რომელიც ჰიპერო-ჰიპონიმური სტრუქტურაციით ანუ იერარქიულობით ხასიათდება. თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში "ველი" ზოგადად განიხილება როგორც ლექსიკურ ერთეულთა ისეთი ერთობლიობა, რომელიც დაფუძნებულია ერთი საერთო ცნების გად-მოცემაზე. ველის იერარქიულობა მდგომარეობს სემანტიკური ჩართვის პრინციპში და იგი რეალიზდება გვარობრივ-სახეობით, ანუ ჰიპერო-ჰიპონიმურ ურთიერთობებზე დაყრდნობით. ჰიპერონიმებად გვევლინება ყველა ის სახელი, რომელთაც, ფართო სემანტიკური ტევადობის წყალობით, იდენტიფიკაციის და ინტეგრაციის უნივერსალური თვისებები გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, თითოეული ჰიპერონიმი სისტემის მაორგანიზებელ ბირთვად გვევლინება, რადგანაც იგი თავის ირგვლივ აერთიანებს შედარებით კონკრეტული მნიშვნელობის მქონე ჰიპონიმურ სახელებს, რომელთა სემანტიკურ სტრუქტურაშიც, ზოგადინტეგრალურ

ნიშან-თვისებებთან ერთად, ფიგურირებს ის კერძო-დიფერენციალური მახასიათებლები, რომლებიც მათ ერთმანეთისგან განასხვავებს. ჰიპერო-ჰიპონიმიურობის საილუსტრაციოდ გამოდგება თუნდაც, ადამიანის აღმნიშვნელი სახელთა სისტემა. აქ ძირითად ჰიპერონიმად გვევლინება სახელი "ადამიანი", რომელიც მისთვის დამახასიათებელი ზოგად-ინტეგრალური კატეგორიული ნიშან-თვისებების წყალობით თავის ირგვლივ აერთიანებს შედარებით კონკრეტული მნიშვნელობის მქონე ისეთ ტაქსონომიურ სახელებს, როგორიცაა: "woman", "man", "child", "girl", "boy", "pigmy" ("ქალი", "კაცი", "ბავშვი", "ჯუჯა") და ა.შ., რომლებიც ჰიპერონიმთან მიმართებაში უკვე ჰიპონიმებად გვევლინებიან. ან კიდევ ტაქსონომიური სახელი "ყვავილი", რომელიც ჰიპერონიმია, რადგანაც თავის ირგვლივ აერთიანებს სხვადასხვა ჯიშის ყვავილების სახელებს – ვარდს, იას, გვირილას, ტიტას, იასამანს და სხვა, რომლებიც ჰიპონიმებად განიხილება. იგივე შეიძლება ითქვას ცხოველთა სამყაროსთან დაკავშირებით, რომელიც პირობითად შეიძლება დავყოთ ისეთ ტაქსონომიურ კლასებად, როგორიცაა ძუძუმწოვრები, ჩლიქოსნები, უხერხემლოები და ა.შ.. თავის მხრივ, თითოეული მათგანი აერთიანებს ცხოველთა უკვე კონკრეტულ სახეებს. შესაბამისად, ექსტრალინგვისტური სინამდვილის ამ საგანთა ძირითად ჰიპერონიმად გვევლინება უაღრესად ზოგადი მნიშვნელობის მქონე სახელი "animal" ("ცხოველი"). ლონგმენის განმარტებით ლექსიკონში (Longman New Universal Dictionary 1982, p. 39) მისი ცნებითი შინაარსი რეალიზებულია დეფინიციაში:

**animal** n. – any of a kingdom of living things typically differing from plants in their capacity for spontaneous movement, esp. in response to stimulation; any of the lower animals as distinguished from human beings.

ეს განმარტება უაღრესად ზოგადია, რამდენადაც მასში ექსპლიცირებულია მხოლოდ ის უმთავრესი ფიზიოლოგიურ-ბიოლოგიური თვისებები, რითაც ცხოველი განსხვავდება სხვა სულიერი თუ უსულო სუბსტანციებისაგან. აქედან გამომდინარე,

სახელი "animal" ("ცხოველი") გვევლინება ზოონიმთა მაიდენტიფიცირებელ ძირითად ჰიპერონიმად, მაშინ როდესაც ესა თუ ის კონკრეტული ზოონიმი ("bear", "fox", "deer", "tiger", "დათვი", "მელია", "ირემი", "ვეფხვი" და ა.შ.) ჰიპონიმებად განიხილება. ტაქსონომიური სახელების ლოგიკურ-სემანტიკური დიფერენცირება ამომწურავად თითქმის შეუძლებელია, რაც ფიზიკური სამყაროს საგნობრივი მრავალფეროვნებით აიხსნება. თუმცა, სრულიად შესაძლებელია მათი გაერთიანება ისეთ ცნებით სფეროებში, როგორცაა "ადამიანი", "ფლორა", "ფაუნა", "კოსმოსი", "საგნობრივი სამყარო" და ა.შ..

ტაქსონომიური სახელების საგნობრიობა განაპირობებს მათ იდენტიფიკატორულ თავისებურებებს. ენობრივი მასალის განზოგადება შესაძლებელს ხდის გამოვავლინოთ ტექსტში მათი არანაყოფის ზოგიერთი კანონზომიერება. კერძოდ, სტილისტურად ნეიტრალურ ტექსტში რეფერენცია ხორციელდება სუსტად განსაზღვრული, ფონური ცოდნის შემქმნელი ტაქსონომიური სახელადი ფრაზებიდან განსაზღვრული ფრაზებისაკენ, რომელთა სემანტიკაც რეტროსპექტულია და ყოველთვის ეყრდნობა წინარე ტექსტს. ხოლო ტექსტის დაწყება განსაზღვრული ტაქსონომიური სახელადი ფრაზით ავტორის კომუნიკაციური სტრატეგიის, მისი სუბიექტური და ესთეტურ-შემეცნებითი მოდუსის ექსპრესიულ-სტილისტიკურ გამოხატულებას წარმოადგენს, რაც მიზნად ისახავს მკითხველის ყურადღების დაუყოვნებლივ კონცენტრირებას მსჯელობის საგანსა და მის მნიშვნელობაზე. მაგალითისათვის ავიღოთ ნაწყვეტი ჰემინგუეის ცნობილი მოთხრობიდან "ინდიელთა ბანაკი":

“They walked up through a meadow... following the young Indian who carried a lantern. Then they followed a track leading to a logging road. It was much lighter on the road...and the young Indian stopped and blew out his lantern and they all walked on along the road... .

They came around and a dog came out barking. Ahead were some shanties where the Indian barkpeelers lived. More dogs rushed out at them.

The two Indians sent them back to the shanties. In the shanty near the road an old woman stood in the doorway holding a lamp.

Inside on a wooden bunk lay a young Indian woman. She had been trying to have a baby for two days. All the old women in the camp had been helping her. The men had moved off the road to sit in the dark and smoke.

Nick's father ordered some water to be put on the stove. "This young lady is going to have a baby, Nick", he said".

(Hemingway E., "Indian Camp", p. 252-253)

ილუსტრირებული მაგალითი სავსეა ტაქსონომიური სახელადი ფრაზებით, რომელთა საშუალებითაც ავტორი ახორციელებს იმ ექსტრალინგვისტურ საგანთა იდენტიფიკაციას მკითხველისათვის, რომელთა ერთობლიობაც აღნიშნული ტექსტობრივი ფრაგმენტის რეფერენტულ სივრცეს ქმნის. ამასთან, თითოეული ასეთი საგნის პირველადი იდენტიფიკაცია ხორციელდება უმთავრესად სუსტად განსაზღვრული სახელადი ფრაზით, რომელიც მორფოლოგიურად "a" არტიკლით ან "some" განუსაზღვრელი ნაცვალსახელით არის აქტუალიზებული: *a meadow, a lantern, a track, a road, a dog, some shanties, more dogs, an old woman, a lamp, a bunk, a woman, a baby* (მდელო, ფარანი, ბილიკი, გზა, ძალი, რამდენიმე ქოხი, უფრო მეტი ძაღლები, მოხუცი ქალი, ლამპა, საწოლი, ქალი, ბავშვი). აღნიშნული ყველა სახელადი ფრაზა სუსტი განსაზღვრულობით ხასიათდება, რადგანაც მათი რეფერენტი ცნობილი არის მხოლოდ მეტყველი სუბიექტისათვის, ე.ი. ავტორისათვის, მაშინ როდესაც იგი უცნობია ადრესატისათვის (მკითხველისათვის). იგივე საგანთა მეორადი იდენტიფიკაციის დროს, მკითხველი უკვე ფლობს საჭირო კონტექსტურ ინფორმაციას, რის გამოც მოცემული ტაქსონომიური იდენტიფიკატორები უკვე განსაზღვრულობით ხასიათდებიან, რაც შესაბამისად არის გაფორმებული "the" არტიკლის ან ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელების საშუალებით: *a road → the road, a lantern → his lantern, some shanties → the shanties, a woman → this lady.*

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ ზემოჩამოთვლილი ყველა სახელადი ფრაზა, განსაზღვრული იქნება თუ განუსაზღვრელი, სინგულარული

ტიპის იდენტიფიკატორს წარმოადგენს, რადგანაც მათ გააჩნიათ ექსტრალინგვისტურ საგანთა დანაწევრებული რეფერენციის უნარი. იმ შემთხვევაში, როდესაც პირველადი რეფერენცია ხორციელდება ტაქსონომიურ საგანთა ერთობლიობის მიმართ, გამონაკლისის გარეშე, დასაშვებია განსაზღვრული სახელადი ფრაზის გამოყენება, როგორც ეს ილუსტრირებულია ჩვენს მიერ განხილულ მაგალითში: *all the women in the camp* ("ბანაკის ყველა ქალი"), *the men* ("კაცები").

ამრიგად, მოცემული მსჯელობები შეიძლება განზოგადდეს შემდეგი დასკვნების სახით:

1. ტაქსონომიურია ის სახელადი ფრაზა ანუ დესკრიფცია, რომელიც ამა თუ იმ ონტოლოგიური (ბუნებრივი) კლასის ან მისი წარმომადგენლის სახელდებას ახდენს მისთვის ობიექტურად დამახასიათებელი იმ არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით, რომელთა ერთობლიობაც სახელის ცნებით შინაარსს ქმნის;
2. ტაქსონომიური სახელის განმარტება ტერმინოლოგიურ-მეცნიერულია, რამდენადაც მასში ექსპლიცირებული ნიშან-თვისებები მოიაზრება იმ ზოგადკატეგორიულ მახასიათებლებად, რომლითაც ერთი კლასის საგანი მეორისაგან განსხვავდება;
3. ტაქსონომიური სახელები ლოგიკურ-სემანტიკურ დიფერენცირებას ექვემდებარება და ამ პროცესს საფუძვლად უდევს ონტოლოგიურ საგანთა კლასის სტრუქტურაციის გვარობრივ-სახეობითი პრინციპი, რაც გამოხატულებას ჰპოვებს კონცეპტური ველის ჰიპერო-ჰიპონიმიურ აგებულებაში, ანუ იერარქიულობაში;
4. ტაქსონომიური სახელების სემურ შედგენილობაში დენოტატური სემები სჭარბობენ სიგნიფიკატურს, რადგანაც ისინი საგნის სახელდებას ახდენენ იმ ნიშან-თვისებების მიხედვით, რომლებიც მგრძნობელობით აღქმას ექვემდებარება. მათი ერთობლიობა კი შესაბამის საგნობრივ სფეროს ქმნის, რის გამოც ისინი საგნობრივ კლასიფიკატორებად გვევლინებიან;



5. ტექსონომიური სახელების საგნობრიობა განაპირობებს მათ იდენტიფიკატორულ და ტექსტოლოგიურ თავისებურებებს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Donnelan K**, Speaker reference, descriptions and anaphora. - In: Contemporary Perspectives, 1979: 28-44.
2. **Вендлер, З.**, Сингулярные термы. - В кн.: НЗЛ, вып. XIII, М.: «Радуга», 1982, с. 203-236.
3. **Рассел Б.**, Дескрипции. - В кн.: НЗЛ, вып. XIII, М.: «Радуга», 1982, стр.41-54.
4. **Стросон П.**, Идентифицирующая референция и истинное значение. - В кн.: НЗЛ, вып. XIII, М.: «Радуга», 1982, стр.55 - 86.

### საკონტროლო კითხვები:

10. განმარტეთ რეფერენციის პროცესის კოგნიტური საფუძველის არსი.
11. განმარტეთ ზოგადად კლასის ცნება. განმარტეთ ონტოლოგიური და პრაგმატიკული კლასის ცნებები.
12. განმარტეთ ტექსონომიური სახელის ცნებითი შინაარსი.
13. განმარტეთ ველის პრინციპის გამოყენების არსი ტექსონომიურ სახელთა ლოგიკურ-სემანტიკურ დიფერენცირებაში (ველის ცნება, ველის იერარქიულობა, სემანტიკური ჩართვის პრინციპი, ჰიპერონიმის და ჰიპონიმის ცნებები). მიეცით მაგალითები.

## ლექცია 7

### კოგნიტური მეტაფორის ცნება ამერიკულ ლინგვისტიკაში

თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ფილოსოფიურ საფუძველს წარმოადგენს ადამიანის მიერ სამყაროს საგნობრივ-ხდომილებრივი აღქმა, რასაც იგი ორი სახით ახორციელებს. *პირველია სამყაროს რაციონალური ანუ ლოგიკური აღქმა*, რომელიც სამყაროს რეალურ ასახვას ითვალისწინებს ობიექტურად არსებული ნიშანთვისებების საფუძველზე; ხოლო *მეორე არის სამყაროს მეტაფორული ანუ მიფოპოეტური აღქმა*, რომელიც ადამიანის სუბიექტურ ასოციაციებს ემყარება. მეტაფორიზაცია შედეგია ადამიანის უნარისა, შენიშნოს და დააფიქსიროს მსგავსება ონტოლოგიურად განსხვავებული კლასის საგნებსა თუ მოვლენებს შორის და გააიგივოს ან შეაპირისპიროს ისინი ერთმანეთთან მაშინ, როდესაც ასეთი გაიგივებისა და შეპირისპირების ობიექტური საფუძველი არ არსებობს. აქედან გამომდინარე, მეტაფორიზაცია არის აზროვნების სტილი, რომელიც სამყაროს სუბიექტურ-პოეტურ ხედვასა და ადამიანის ინდივიდუალურ შეფასებით კოგნიცია-ზეა დამყარებული (იხ. კრებული «Теория Метафоры» 1990).

მეტაფორა საუკუნეების მანძილზე, ჯერ კიდევ არისტოტელეს დროიდან, იზიდავს მკვლევართა ყურადღებას, ამიტომ უამრავი თეორია არსებობს მეტაფორის რაობისა და მისი წარმოქმნის შესახებ. რამდენადაც მეტაფორა გვხვდება მეცნიერების სხვადასხვა დარგში, იმდენად მრავალნაირად არის შესაძლებელი მისი ინტერპრეტირება.

მეტაფორა არის აზროვნების სპეციფიური ფორმის გამოხატულება, რომელიც გვხვდება ყველგან - ენაში, ხელოვნებაში (ფერწერაში, ქანდაკებაში), სადაც კი არსებობს ნიშანთა სისტემა, იქნება ეს პირველადი თუ მეორადი. ტერმინი „მეტაფორა“ ბერძნული წარმოშობისაა (ბერძ. *metaphora* - “გადატანა”) და იგი გულისხმობს მნიშვნელობის გადატანას ერთი სიტყვიდან მეორეზე. შესაბამისად, მეტაფორა შეიძლება განვიხილოთ როგორც სემიოტიკური კონსტრუქტი, რომელშიც რეალიზებას ჰპოვებს მსჯელობის საგნის სუბიექტურ-პოეტური დეტერმინაცია

(დახასიათება) ან იდენტიფიკაცია მისი შეპირისპირება-გაიგივებით მეტყველი სუბიექტის ცნობიერებაში ხატის სახით არსებული სამყაროს ამა თუ იმ ობიექტთან (საგნობრივთან თუ არასაგნობრივთან) მათი საერთო იმ ნიშან-თვისების ან თვისებების საფუძველზე, რომლებიც მეტაფორიზაციის მოტივაციად გვევლინება. ეს ნიშნავს იმას, რომ განსხვავება ჩვეულებრივ ვერბალურ ნიშანსა და მეტაფორულ ნიშანს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ჩვეულებრივ ნიშანს აქვს ერთი აღმნიშვნელი და ერთი აღსანიშნი, ხოლო მეტაფორას კი – ერთი აღმნიშვნელი და ორი აღსანიშნი. აქედან გამომდინარე, მეტაფორა სემანტიკური პარალელიზმის შემცველი ფორმაა: ერთია პირდაპირი, ექსპლიციტურად გამოხატული მნიშვნელობა, მეორე კი – გადატანითი, შეფარული, ნაგულისხმევი მნიშვნელობა. პირდაპირი მნიშვნელობის საშუალებით ხდება მეორე, ნაგულისხმევი მნიშვნელობის აღქმა-წარმოდგენა და დახასიათება-ინტერპრეტაცია. მეტაფორა ფართო გაგებით გულისხმობს საერთოდ ყველა სახის ტროპს იმდენად, რამდენადაც ყველა ტროპის არსებობის მექანიზმი და არსი არის მეტაფორული ანუ გადატანითი. ტროპი (ბერძნ. “tropos” - სამეტყველო კონსტრუქცია) ლინგვისტურ ენციკლოპედიურ ლექსოკონში განმარტებულია როგორც სიტყვის ან სიტყვათშეთანხმების პირველადი მნიშვნელობის ისეთი გარდაქმნა, რომელიც მას დამატებით კონოტაციურ ელფერს მატებს (JIEC 1990, 520).

მეტაფორის სემანტიკურ სტრუქტურაზე მსჯელობისას, უფრო ზუსტად კი, მეტაფორაში რეალიზებული ორი მნიშვნელობის აღსანიშნად სპეციალურ ლიტერატურაში უამრავ სხვადასხვა ტერმინს გამოიყენებენ: „საგანი“ და „ხატი“ (რომელსაც მეტაფორის ასოციაციურ შინაარსსაც უწოდებენ), „თემა“ და „კონტეინერი“, „რეფერენტი“ და „კორელატი“, „წყარო ცნება“ და „სამიზნე ცნება“, და ა.შ. (Арутюнова 1990: 5-32). წყარო, ანუ საწყისი ცნება არის ენობრივი ნიშნის პირდაპირი მნიშვნელობა, ხოლო სამიზნე ცნება არის ის აქტუალური აზრი, რა მიზნითაც მეტაფორიზაცია ხორციელდება (Croft & Cruse 2004, 195). მეტაფორის განსაზღვრება გულისხმობს, რომ სამიზნე ცნება ბუნებით აბსტრაქტირებულია, მაშინ როდესაც საწყისი – კონკრეტულ-კონცეპტუალურია. მეტაფორის გამოყენებას გააჩნია ის ტენდენცია, რომ ის მიდის

კონკრეტული წყაროდან აბსტრაქტულ სამიზნეში, რის გამოც მკვლევარებს უძნელდებათ მეტაფორული გამოყენების ინტერპრეტირება.

მეტაფორაში პირდაპირი მნიშვნელობის საშუალებით ხორციელდება მეორე, ნაგულისხმევი მნიშვნელობის აღქმა-გაგება და ინტერპრეტაცია. საილუსტრაციოდ განვიხილოთ მეტაფორა – “You are a real lion” („შენ ნამდვილი ლომი ხარ.“), რომლითაც შეიძლება მიმართონ მამაც ადამიანს. როგორია მისი სემანტიკური სტრუქტურა? ნებისმიერი ნიშნის მსგავსად, ეს მეტაფორაც სამ ელემენტს შეიცავს: აღმნიშვნელს, აღსანიშნს და მათ შორის კავშირს. ჩვეულებრივ ნიშანში აღმნიშვნელი ერთ აღსანიშნს უკავშირდება (ჩვენ აღქმაში ბგერათა კომპლექსი „ლომი“ უკავშირდება მხოლოდ გარკვეულ ცხოველს). მეტაფორაში კი აღმნიშვნელი ერთდროულად ორ აღსანიშნს უკავშირდება ორს: 1) ცხოველს, რომელიც ამ ნიშნის პირდაპირი, ანუ პირველი მნიშვნელობაა, და 2) მამაც ადამიანს, რომელიც მეორადი, ანუ გადატანითი მნიშვნელობაა. ამასთან, პირველ მნიშვნელობას აღმნიშვნელი უკავშირდება უშუალოდ, მეორეს კი – პირველის საშუალებით.

მეტაფორის ორივე მნიშვნელობა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მნიშვნელობა, წარმოადგენს ნიშან-თვისებათა კომპლექსს, რომელიც ახასიათებს მოვლენას რეალურად როგორც ონტოლოგიურ კლასს მისთვის ობიექტურად დამახასიათებელი თვისობრიობის მიხედვით ან სუბიექტური შეფასების შედეგად მისთვის რაიმე ნიშან-თვისების მიწერის გზით. სუბიექტური შეფასებები შეიძლება იყოს ნებისმიერი ხასიათის, მაქსიმალურად მოულოდნელი და ემყარებოდეს უკიდურესად ინდივიდუალურ, მარტო მთქმელისათვის გასაგებ ასოციაციას, და ამდენად მარტო მისთვის იყოს დამაჯერებელი და ცხადი. ასეთი ნიშნები შეიძლება ჩაითვალოს სუბიექტურ ნიშნებად.

მეტაფორაში – „შენ ნამდვილი ლომი ხარ.“ – „ლომის“ მნიშვნელობას ქმნის ობიექტური ნიშნები. პირველი მნიშვნელობისათვის (ლომი, როგორც ცხოველი) ამოსავალი ნიშნებია: ცხოველი, ძლიერი, ძალაუფლების მოყვარული, ღონიერი, ნადირთა მეფე, მტაცებელი, დიდებული, შიშის მომგვრელი, უყვარს ნავარდი, ეტრფის თავისუფლებას, არის ტრამალის ბინადარი, მონაწილეობს სისხლიან

შეტაკებებში. მეორე მნიშვნელობას (მამაცი მამაკაცი) კი ქმნის ისეთი ნიშნები, როგორც არის მამაცი, ძლიერი სქესის წარმომადგენელი, ღონიერი და ძალაუფლების მოყვარული. ამ ორი მნიშვნელობის ერთ სემანტიკურ ერთეულად შეკვრა ხდება მხოლოდ მათი საერთო სემების საფუძველზე. კონკრეტულად, პირველი (პირდაპირი) მნიშვნელობიდან გამოვყოფთ ერთ ან რამდენიმე ასეთ ნიშანს და მათ ვუკავშირებთ მეორე, გადატანით მეტაფორულ მნიშვნელობას – ძლიერი, მამაცი, ღონიერი, ძალაუფლების მოყვარული. თუმცა საერთო ნიშნების გარდა, სიტყვის პირდაპირ მნიშვნელობაში ფიგურირებს ე.წ. „თავისუფალი“ ნიშნები (მაგალითად, ლომისათვის ასეთი ნიშნებია ტრამალი, სისხლიანი შეტაკება, ნადავლი და სხვ.), რომლებიც ასევე ქვეცნობიერად შემოდიან ჩვენს აღქმაში და ამდიდრებენ მამაცი ადამიანის სახეს. ეს განაპირობებს გამონათქვამის არაერთმნიშვნელოვანებას და მის ემოციურ–ესთეტიკურ კონცეპტუალურ მნიშვნელობას.

თვალსაჩინოებისათვის კიდევ მოვიყვანთ მაგალითებს. ავიღოთ რობერტ ბერნსის ცნობილი სტრიქონები “ჩემი სიყვარული ისეთია, როგორც ივნისში ახლად–გაშლილი წითელი ვარდი:”

“O, my Luve’s like a red, red rose,  
That’s newly sprung in June.”

ან კიდევ შექსპირის – “O, Rose of May!” (“მაისის ვარდო”) – ამ მეტაფორით მიმართავს ლაერტი ჰამლეტის სიყვარულს, დაღუპულ ოფელიას. როგორია მისი სემანტიკური სტრუქტურა?

ნებისმიერი ნიშნის მსგავსად ეს მეტაფორაც სამ ელემენტს შეიცავს: აღმნიშვნელს, აღსანიშნს და მათ შორის არსებულ ასოციაციურ კავშირს. ჩვეულებრივ ნიშანში აღმნიშვნელი ერთ აღსანიშნს უკავშირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ბგერათა კომპლექსი “ვარდი” ჩვენს აღქმაში უკავშირდება მხოლოდ გარკვეულ ყვავილს. ამ მეტაფორაში კი იგი უკავშირდება ერთდროულად ორს: ყვავილს (პირველი ანუ პირდაპირი მნიშვნელობით) და ოფელიას (მეორე, გადატანითი ანუ ფიგურალური მნიშვნელობით). მათგან, პირველ მნიშვნელობას აღმნიშვნელი უკავშირდება უშუალოდ, მეორეს კი – პირველის გავლით.

როგორია ამ დაკავშირების მექანიზმი? სიტყვის “ვარდი” პირველი ანუ ობიექტური მნიშვნელობა შემდეგნაირად არის განმარტებული ლონგმენის ლექსიკონში:

**rose** - n. the showy often double flower of any of a genus of widely cultivated usually prickly shrubs (p.847).

ეს არის არის ენციკლოპედიური ტიპის განმარტება, რომელშიც მოცემულია ვარდის ის ობიექტური მახასიათებლები, რომლითაც ის განსხვავდება სხვა ყვავილებისაგან: კულტივირებული ეკლოვანი ბუჩქოვანი მცენარის ფურცლოვანი ყვავილი. ამავდროულად, სიტყვა „ვარდი“ ენის მატარებელთა ცნობიერებაში ასოცირდება ისეთ სუბიექტურ თავისუფალ ნიშნებთან, როგორც არის, მაგალითად: სურნელოვანი, ლამაზი, ყვავის გაზაფხულზე, ამშვენებს ქვეყანას, უყვარს და უგალობს ბულბული, იზრდება ბაღში; მაინც დაუცველია, ნაზი, სათუთი, ეშინია სეტყვის, ყინვის და ა.შ. სწორედ ეს თავისუფალი ნიშნები ქმნიან იმ სუბიექტურ ასოციაციებს, რომლებსაც მეტაფორა ეფუძნება და ქმნის ოფელიას ემოციურ-ესთეტიკურ სახეს: მშვენიერი, დაუცველი ქალი, ყვავილივით ლამაზი და სურნელოვანი, ნაზი, სათუთი, უყვარს ჰამლეტს და სხვა.

მეტაფორა იქმნება მნიშვნელობის გადატანით აშკარად ნახსენებიდან ნაგულისხმევიზე. უფრო ზუსტი გაგებით, ეს არის ერთ აღმნიშვნელთან ორი მნიშვნელობის თანაარსებობა ანუ, როგორც ნ. თერნერი ამბობს, მეტაფორაში ხდება კონცეპტუალური შერწყმა (conceptual blending)<sup>6</sup>. კოგნიტივისტები ამ პროცესს სამყაროს მეტაფორულ აღქმას (metaphorical mapping) უწოდებენ. ერთი შეხედვით, მეტაფორა შეიძლება აბსურდულიც კი ჩანდეს, რადგან ორ ჰეტეროგენულ მოვლენას აერთიანებს. არსებობს აზრი, რომ ის მოვლენა, რომლის საშუალებითაც ხდება აღქმა, უფრო შემოწმებადია, ვიდრე ის მოვლენა, რისი აღქმაც ხდება. გამოთქმები, რომლებიც უკავშირდება კონკრეტულ მოვლენებს, შეიძლება იოლად იქნეს შემოწმებული ან დადასტურებული დამკვირვებლის მიერ როგორც რაღაც ხილვადი. აქედან გამომდინარე, კონკრეტული ტერმინების მნიშვნელობაზე ინტერსუბიექტური

<sup>6</sup> ნ. თერნერის ციტირება ხდება ჯ. ლაკოფის ნაშრომზე დაყრდნობით: Lakoff G., *Moral Politics: How Liberals and Conservatives Think*, Chicago: Chicago Press, 2002.

შეთანხმება უფრო იოლია, ვიდრე აბსტრაქტულ მოვლენებზე. როცა აბსტრაქტულს აღვიქვამთ ისე როგორც კონკრეტულს, ჩვენ ვქმნით ობიექტურობის ილუზიას და ამით ვამარტივებთ კომუნიკაციას აბსტრაქტულთან მიმართებაში.

მეტაფორა ადამიანის წარმოსახვის ნაყოფია, რის შედეგადაც იქმნება აღქმის ობიექტის ახალი განსხვავებული ხატი, რომელიც, ობიექტურ თვისებებთან ერთად, ავტორისეული ესთეტიურ-კოგნიტური და სუბიექტური შეფასებითი მოდალობის მატარებელია. მაგრამ არ შეიძლება მეტაფორული ნომინაცია ინტერპრეტირებულ იყოს მთლიანად მხოლოდ როგორც ინდივიდუალურ-კოგნიტური ფენომენი, რადგანაც იგი ამავედროულად განპირობებულია ენის მატარებელთა კულტურით და სოციალური გარემოთი. ამის ნათელი დადასტურებაა ერების ენობრივ ცნობიერებაში კოგნიტური მეტაფორების აღმოჩენა, რომელთა კონკრეტული შინაარსიც მათი შემქმნელი კულტურის თავისებურებების გამომხატველია. კოგნიტური მეტაფორის არსს მკვლევარები ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის ლინგვოფილოსოფიურ კონცეფციას უკავშირებენ და აღნიშნავენ, რომ კოგნიტური მეტაფორა წარმოადგენს ენაში გამოხატული ერის გონის გამოვლინებას. ეს გულისხმობს იმას, რომ ადამიანებს ახასიათებთ სამყაროს მეტაფორული აღქმა, რაშიც ასახვას ჰპოვებს მათი ეთნო-კულტურა, ეროვნული ფსიქოლოგია და მსოფლხედვის სპეციფიკა.

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ამერიკელი კოგნიტივისტების ჯორჯ ლაკოფის და მარკ ჯონსონის მიერ შემუშავებულ იქნა ე.წ. კოგნიტური, ანუ კონცეპტუალური მეტაფორის ცნება, რომელმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა მეტაფორის ზოგად თეორიაში. ტრადიციული მოსაზრების საპირისპიროდ, რომ მეტაფორა არის მხოლოდ პოეტური აზროვნების ფორმა, ეს მკვლევარები მიიჩნევენ, რომ “მეტაფორა შეაღწევს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, არა მარტო ენაში, არამედ აზრსა და ჩვენ ქმედებაშიც. ჩვენი კონცეპტუალური სისტემა, რომელზე დაყრდნობითაც ჩვენ კიდევაც ვმოქმედებთ, თავიდან ბოლომდე მეტაფორულია თავისი არსით” (Lakoff, Johnson, 1980).

თავიანთ ერთობლივ ნაშრომში “Metaphors We Live By” (1980) ლაკოფი და ჯონსონი აღნიშნავენ, რომ ადამიანებს ახასიათებთ გარემომცველი სამყაროს

მოვლენათა მეტაფორული აღქმა (mataphorical mapping) რაშიც გამოხატულებას ჰპოვებს ამა თუ იმ ენის მატარებელთა კულტურა და ეროვნული ფსიქოლოგია, მსოფლხედვის სპეციფიკა. ჩვენი ყოველდღიური სასუბრო ენა გაჯერებულია მეტაფორული გამოთქმებით, რაც გარკვეულწილად ამარტივებს კომუნიკაციის პროცესს, რადგანაც მეტაფორის არსებითი სპეციფიურობა იმაში მდგომარეობს, რომ მთქმელისათვის უფრო ნაცნობი, მარტივი საშუალებით მოახდინოს უფრო რთულის და უცნობის აღქმა-გააზრება. ლაკოფისა და ჯონსონის დაკვირვებით, ენაში არსებული ცალკეული მეტაფორული გამოთქმები ხშირად ერთი დიდი მეტაფორის გამოვლინებას წარმოადგენს. თავად ეს მეტაფორა შეიძლება არც იყოს ნახსენები ენაში, მაგრამ იგი არსებობს ერის ცნობიერებაში და გამოვლინებას ჰპოვებს ენაში ცალკეული გამოთქმების, სიტყვების და ფრაზეოლოგიზმების სახით.

მაგალითისათვის ავტორები აანალიზებენ კოგნიტურ მეტაფორას – “**Argument is war**” (“კამათი ომია”). ეს მეტაფორა ენაში არ არის მატერიალიზებული ასეთი გამოთქმის სახით, მაგრამ ავტორები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ კამათი ინგლისურენოვანი კულტურის მატარებელთა ცნობიერებაში აღიქმება როგორც ომი, სადაც მოპაექრები ერთმანეთს მოწინააღმდეგედ განიხილავენ, რადგანაც კამათის დახასიათება საბრძოლო ტერმინების მოშველიებით ხორციელდება: მოპაექრები იმარჯვებენ ან მარცხდებიან კამათში, ისინი თავს ესხმიან ერთმანეთის პოზიციას ან იცავენ საკუთარს. კამათი სიტყვებით ომია, რომელიც გარკვეული სტრატეგიით ხორციელდება. იგი მიეკუთვნება იმ კოგნიტურ მეტაფორათა რიცხვს, რომელიც ინგლისურენოვანი კულტურის მატარებელთა ცნობიერებაში და ეთნოფსიქიკაშია დაფიქსირებული, რასაც ადასტურებს ინგლისურ ენაში არსებული მთელი რიგი მეტაფორული გამოთქმები:

1. I **demolished** his arguments.  
“მე გავანადგურე მისი არგუმენტაცია.”
2. He **shot down** all my arguments.  
“მან ყველა ჩემი არგუმენტი გაანადგურა.”
3. He **attacked** every weak point in my argument.



“ის თავს ესხმოდა ჩემი არგუმენტაციის ყველა სუსტ წერტილს.”

4. Your claims are **indefensible**.

“თქვენი მტკიცებები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს”.

5. His criticisms were **right on target**.

“მისი კრიტიკული შენიშვნები ზუსტად მიზანში ხვდებოდა.”

6. I’ve never **won an argument** with him.

“მე არსდროს მომიგია მასთან კამათში.”

7. You disagree? Okay, **shoot!**

“თქვენ არ მეთანხმებით? ძალიან კარგი. თქვენი სროლაა!”

8. If you use that *strategy*, he’ll **wipe you out**.

„თქვენ თუ მაგ სტრატეგიას გამოიყენებთ, ის მოგსპობთ (გაგა–  
ნადგურებთ).”

ლაკოფის და ჯონსონის თვალსაზრისით, კამათი უფრო რთული და გვიანდელი მოვლენაა ვიდრე ფიზიკური კონფლიქტი – ომი. სწორედ ამ უფრო მარტივი, თვალსაჩინო მოვლენის საშუალებით ხდება უფრო რთული, უფრო გვიანდელი მოვლენის – კამათის აღქმა. ამრიგად, კოგნიტურ (კონცეპტუალურ) მეტაფორას ქმნის ამა თუ იმ მოვლენის სახალხო მეტაფორული აღქმა. ამას განაპირობებს საერთო ნიშნების ობიექტურობა ანუ ის, რომ ეს ნიშნები ყველასთვის გასაგებია, რაც აუცილებელი პირობაა კოგნიტური მეტაფორის განხორციელებისათვის.

ადამიანები გარემომცველ სინამდვილეს მეტაფორულად აღიქვამენ. მათი ცნებითი სისტემა მეტაფორულია თავისი არსით. სწორედ ეროვნულ აღქმაში არსებობს კოგნიტური მეტაფორა, რომელიც არ მოიპოვება მატერიალიზებული ფორმით, მაგრამ მის რეალობას ადასტურებს თავად ენაში არსებული მეტაფორული გამოთქმები (Lakoff & Johnson 1980).

ნებისმიერი მოვლენა გარკვეულწილად შეიცავს წინაპირობას მეტაფორის–თვის. შესაბამისად, ყველა ცნება, რომელიც ამ მოვლენის საფუძველს წარმოადგენს, და სიტყვა, რომელიც ცნებას აღნიშნავს, შეიცავს მეტაფორის წინაპირობას. მეტაფორის წარმოშობის საფუძველი უნდა ვეძებოთ მოვლენის არსში. საილუსტრაციოდ ავიღოთ

მეტაფორა “Reasoning is travelling”(„მსჯელობა მოგზაურობაა“). მსჯელობის პროცესი ერთგვარი ვირტუალური მოგზაურობაა, სადაც ხდება ერთი საკითხიდან მეორეზე გადასვლა. შესაძლებელია, მსჯელობისას თემიდან გადავუხვიოთ, მაგრამ ბოლოს მაინც მივდივართ გარკვეულ დასკვნამდე. კავშირი ამ ორ მოვლენას შორის სრულიად რეალურია და ემყარება მასობრივად, საყოველთაოდ აღქმად ობიექტურ საერთო ნიშნებს. ეს მოვლენები უკვე ქმნიან წინაპირობას მეტაფორის განსახორციელებლად. მსჯელობა (reasoning) აღიქმება მეორე მოვლენის – მოგზაურობის (travelling) საშუალებით. მისი ვარიაციული ნიმუშებია ენაში:

We started out from these premises.

We came to these conclusions.

წყაროში იგულისხმება მოგზაური, რომელიც იწყებს მოძრაობას ერთი ადგილიდან და მიდის გარკვეულ პუნქტამდე, მიზანში კი – მსჯელობა. მოგზაურობა შეესაბამება მოაზროვნეს, საწყისი ადგილი – წინაპირობას, დანიშნულების ადგილი – დასკვნას, ხოლო მოგზაურის მოძრაობა – განსჯის პროცესს.

ამრიგად, კოგნიტური მეტაფორები შედეგია რაიმე მოვლენის სახალხო აღქმისა, რის გამოც მათში გამოხატულებას ჰპოვებს ერის ეთნოკულტურა, ეროვნული ფსიქოლოგია და მსოფლხედვის სპეციფიკა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Арутюнова Н. Д. (Ред)**, Теория Метафоры. Москва: «Прогресс», 1990, с. 5-32.
2. **Лингвистический энциклопедический словарь**. Москва: «Советская энциклопедия», 1990.
3. **Croft W., & Cruse A.**, Cognitive linguistics. Cambridge University Press, 2004.
4. **Lakoff G.**, Metaphor and War, Again. Linguistics Department, UC Berkeley, 2002.
5. **Lakoff G., & Johnson M.**, Metaphors We Live By, Chicago: University of Chicago Press, 1980.
6. **Paradis C.**, Where Does Metonymy Stop? Senses, Facets, and Active Zones. Metaphor and Symbol 19. Lawrence Erlbaum Associates, Inc., 2004.

